# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 24 მაისი 2008 №117 (3341) ფასი 50 თეთრი




# ბადე მოიჭრა!

რუსთაველების ბადალი ქართულ კალათბურთში კვლავ არავინაა — „ენერჯი ინვესტმა" საქართველოს ჩემპიონობა მიჯრით მეორედ მოიპოვა, ხოლო დედაქალაქურმა „ავიამ" მიჯრით მეორედ დათმო ფინალი.

გუშინწინ იყო, ავიატორებს ფინალური სერიის მესამე მატჩის მოგება და დაწინაურება რომ შეეძლოთ, მაგრამ ბოლომდე ვერ იყოჩაღეს. ჰოდა, ის მიიღეს, რომ რუსთაველებს ერთი მოგებალა აშორებდათ ჩემპიონობამდე.

გუშინ კი ორი პერიოდის მერე თამაშს ინტრიგა თითქოს დაკარგული ჰქონდა, ისეთი უპირატესობით იგებდა „ენერჯი", მაგრამ როგორც ხდება ხოლმე, მეტალურგიის ქალაქელებმა ჩემპიონობა განაღდებულად ჩათვალეს და ბოლო მეოთხედი ისე დაიწყეს, კაცი უარესს ვერ წარმოიდგენდა...

ერთი სიტყვით, „ავიამ" ჩამორჩენა ერთ ქულამდე შეამცირა და.. ეგ იყო და, ეგ — მერე ალმართი ისევ ძალამ მოხნა, რუსთაველებმა თამაში და ჩემპიონობა მაინც მოიგეს.

ბოლოს კი ტრადიციულად ის იყო, რასაც ფოტოზეც ხედავთ, ჩემპიონატის მომდევნო სეზონისთვის ფარზე ახალი ბადეა ჩამოსაკიდი.



# სასეგრეტო და სამაისო

## ხორვატის 24 ქართველი ესტონეთ-პორტუგალიისთვის

აფხაზეთისა და საქართველოს კლუბების ნაკრებთა მატჩი თავისთავად ხომ საინტერესო იყო და, იმითაც მნიშვნელოვანი გახლდათ, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა მისი დასრულების მერე დაასახელა საესტონეთ-საპორტუგალიო შემადგენლობა, რომელიც დღეს საღამოს გაემგზავრება ტალინში.

*მეკარეები:* გიორგი ლომაია, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე;

*მცველები:* უჩა ლობჟანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, გიორგი ნავალოვსკი, დავით კვირკველია, ამირან სანაია, ალექსანდრე კვახაძე;

*ნახევარმცველები:* ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ყენია, გიორგი ხიდეშელი, დავით დევდარიანი, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ოდიკაძე, დავით მუჯირი;

*თავდამსხმელები:* გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, რევაზ ბარაბაძე.

# მომავალ შეხვედრამდე, სოხუმში...



დავით მუჯირი და თემურ ქეცბაია

# დაივიწყეთ ძველი და ითამაშეთ!

ბოლნისი. 24 მაისი. 16.30 საათი. თამაზ სტეფანია

## გაგრა — სპარტაკი

დღეს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატში სეზონის ბოლო მატჩია. ის, ვინც ბოლნისში გაიმარჯვებს, მომდევნო სეზონში უმაღლეს ლიგაში ითამაშებს და ახლა თავად განსაჯეთ, როგორი ბრძოლა იქნება.

გაგრელებს აქამდე ზედიზედ სამი გადასასვლელი მატჩი აქვთ ჩატარებული და სამივე წაგებული. იმ სამიდან ორი დამატებით დროში დათმეს, ბოლო კი — პენალტების სერიაში.

ხოლო პირველი პლეი ოფი „გაგრას" სწორედ ცხინვალელებთან ჰქონდათ ორი წლის წინ.

დღესაც ბრძოლა რომ იქნება, მტკიცება არ უნდა.

# აფხაზური ფეხბურთის 100-წლისთავი



# მომავალ შეხვედრამდე, სოხუმში...

**კობა ინასარიძე**

**აფხაზური** ფეხბურთი საუკუნოვან იუბილეს ზეიმობს და სწორედ ამ თარიღის აღსანიშნად აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციამ ეს გუშინდელი მატჩი მოაწყო.

ამ შეხვედრაში მონაწილეობის სურვილი ძალიან ბევრ ვეტერან ფეხბურთელს ჰქონდა, მაგრამ მიზეზთა გამო „ეროვნულზე“ სულ ორი ძველი ვარსკვლავი გამოჩნდა — თემურ ქეცბაია, რომელიც კვიპროსიდან ჩამოვიდა და გრიგოლ ცაავა.

ამათ მეტოქეობას პირობითად საქართველოს კლუბების ნაკრები კი უწევდა, მაგრამ ვინაიდან საქართველოს ნაკრებიც შეკრებაზეა, ამ შეხვედრაში ლეგიონერებმაც ითამაშეს, თანაც ნაკრებს ეროვნული გუნდის დროებითი მწვრთნელი პეტარ სეგრტიც მეთაურობდა.

ამგვარ მეგობრულ მატჩებს, ცხადია, ბევრი გოლი და სანახაობა უხდება, მაგრამ ეპიზოდებში ფეხბურთელები ეშხში ისე შედიოდნენ, ერთი-ორჯერ ერთმანეთს ძალიან მწარედაც მოარტყეს. ზურაბ გვაძაბია სულაც ისე დაშავდა, სასწრაფო დახმარების მანქანაც კი გამოჩნდა მის წასაყვანად. საბედნიეროდ, საავადმყოფოში წაყვანა ფეხბურთელს აღარ დასჭირვებია. ხოლო ზურაბ მუშკუდიანს წარბი გაუსკდა, თუმცა თამაში მაინც გააგრძელა.

იმავ მუშკუდიანი კი არბიტრმა მატჩის ბოლოსკენ გააძევა კიდეც, მან გოლი რატომ არ ჩამითვალეთო და, უკმაყოფილება საკმაოდ ემოციურად გამოხატა.

ერთი გოლი თემურ ქეცბაიამ გაიტანა, მეორე — დავით მუჯირმა.

ქეცბაიამ ჯარიმიდან ვიტალი დარასელიას დაგორებულ ბურთს დაარტყა და როგორც ადრე, ამჯერადაც საკმაოდ მოხდენილად გაიტანა, მუჯირმა კი მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ზურაბ ქვაჩახიას აუღებელი დაურტყა.

ქეცბაიას დუბლის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ 62-ე წუთზე გიორგი ქუცურუას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი გააცუდა — დარტყმისას ფეხი დაუცდა და კარს გადააცილა.

...მერე „მეტოქეები“, მატჩის ორგანიზატორები, ქომაგები ერთმანეთს გადაეხვივნენ... ეს მართლაც ლამაზი თარიღია... აფხაზურმა ფეხბურთმა ხომ უამრავი ვარსკვლავი გვაჩუქა და იმედია, მომავალშიც ასე იქნება...

ჩვენი მხრივ, მთელ საქართველოს ვულოცავთ ამ იუბილეს და ვინ იცის, იქნებ, 101-წლისთავზე სოხუმშიც შევხვდეთ...



თემურ ქეცბაია (№9) მცველებში ჯარასავით დატრიალდა

თბილისი. 23 მაისი. 18 საათი. ეროვნული. 6 000 მაყურებელი

## საქართველო-XI 1:1 აფხაზეთი

0:1 ქეცბაია (15), 1:1 მუჯირი (30)

*ქეცბაიამ ვერ გაიტანა პენალტი (62, ააცილა)*

| საქართველო-XI | აფხაზეთი |
|---|---|
| ლორია (მამალაძე 46), ა. კვახაძე, სალუქვაძე (ოდიკაძე 70), გ. ხიდეშელი (კლიმიაშვილი 33), სანაია, ხუციშვილი (ფანცხავა 46), გ. მერებაშვილი, ბჟალავა, ტატანაშვილი (დევდარიანი 46), დ. მუჯირი (რ. ბარაბაძე 46), ოდიკაძე (ბ. გოცირიძე 62) | ქვაჩახია, გვაძაბია (კაკუბავა 48), ზ. ჯელაძე, დობროვოლსკი, ქუცურუა (ძალამიძე 86), ქეცბაია (გულორდავა 66), დარასელია (შონია 89), სახოკია, მუშკუდიანი (ცაავა 78), თ. უგრეხელიძე (შარანგია 89), გველესიანი |
| მწვრთნელი: პეტარ სეგრტი | მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: ბარაბაძე (48), მერებაშვილი (72), მუშკუდიანი (78), ქვაჩახია (81), კლიმიაშვილი (83)

გაფრთხილება: მუშკუდიანი (78)

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ზ. ბერულავა, ზ. ფიფია, დ. სანაია



გიორგი ჩიხრაძე
და პეტარ სეგრტი

## ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

ახალგაზრდულები

ჰოლანდია 0:1 შვეიცარია

## ამხანაგური მატჩები

ავსტრალია 1:0 განა
რუსეთი 6:0 ყაზახეთი
პოლონეთი 1:0 შამპაუზენი
ბოსნია — სლოვენია გადაიდო
გერმანია U21 4:0 უკრაინა U21
კოტ დივუარი U20 1:0 აშშ U20

## ირლანდია

პრემიერლიგა

ბოჰემიანსი 2:1 გალვაი
ბრეი 0:3 კორკი
კობი 1:3 ფინ ჰარპსი
დერი 4:1 დუბლინი
შემროკი 0:0 დროჰედა
სლიგო 1:2 სტ. პატრიკსი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

პაკში 2:2 დებრეცენი

## ფინეთი

თასი

კაპა 0:0 ტპ-47

# შავი ოქროს კაცი

## ტიჯანი ბაბანგიდა: შოთა არველაძე სული და გულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 ივნისს შოთა არველაძის ბენეფისზე მსოფლიოს არაერთ ვარსკვლავს შორის ტიჯანი ბაბანგიდაც იქნება. აბა, ვის არ ახსოვს ნიგერიელი მარჯვენა გარემარბი, უსწრაფესი დრიბლინგებით რომ გამოირჩეოდა... საერთოდაც, 90-იან წლებშიც და დღევანდელ ფეხბურთშიც მისი ტიპის ფეხბურთელები იშვიათობას წარმოადგენენ. ცუდად თამაშობდა თუ კარგად, ტიჯანი მინდორზე ყოველთვის ჩანდა... შოთამ და ბაბანგიდამ ერთად გაატარეს აიაქსური პერიოდი. ამსტერდამული გრანდი მაშინ ტოპ-გუნდი იყო ევროპაში, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელს აშკარად სჯობდა. შოთაც და ტიჯანიც ლუის ვან გაალის მწვრთნელობისას მივიდნენ „აიაქსში“, შემდეგ მორტენ ოლსენის ხელშიც ითამაშეს. შოთას და ტიჯანის თანაგუნდელობისას ერთი ასეთი ამბავიც მოხდა, რაზეც წლების წინ „სარბიელშიც“ გვეწერა, ახლაც გავიხსენებთ და, ვფიქრობთ, მრავლისმთქმელი ფაქტია... მოკლედ, ასე იყო: შოთა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მოატყუა და კარში დაარტყა. ძლიერი დარტყმა არ იყო და ბურთი ნელა გაგორდა კარისკენ. ბაბანგიდა ბურთს გაჰყვა და კარამდე მიაცილა, ფეხის წარტყმა კი არ იკადრა — ის შოთას გოლი უნდა ყოფილიყო... ბაბანგიდამ ამსტერდამამდე ორი ჰოლანდიური კლუბი მოიარა, 1996 წელს კი ნიგერიული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს წარმატებაში ლომის წილი შეიტანა — ის ერთ-ერთი საუკეთესო იყო 1996 წლის ატლანტის ოლიმპიადაზე. 34 წლის ნიგერიელს შოთა არველაძის მეშვეობით დავუკავშირდით. ძალიან უშუალო და გულიანი მოსაუბრე გამოდგა...



### ტიჯანი ბაბანგიდა

ნახევარმცველი

დაიბადა 1973 წლის 25 სექტემბერს კადუნაში (ნიგერია)

| | | | |
|---|---|---|---|
| 1990 | ნაიჯერია ტორნადოსი | 25 მატჩი | 9 გოლი |
| 1991-93 | ვენლო (ჰოლანდია) | 34 მატჩი | 19 გოლი |
| 1994-96 | როდა (ჰოლანდია) | 78 მატჩი | 26 გოლი |
| 1997-2000 | აიაქსი (ჰოლანდია) | 77 მატჩი | 20 გოლი |
| 2000-01 | გენჩლერბირლიგი (თურქეთი) | 12 მატჩი | 2 გოლი |
| 2001-02 | ვიტესი (ჰოლანდია) | 13 მატჩი | 1 გოლი |
| 2002-03 | ალ-იტიჰადი (საუდის არაბეთი) | 5 მატჩი | 0 გოლი |
| 2004-05 | ჩანხუნ იატაი (ჩინეთი) | 19 მატჩი | 4 გოლი |
| 1994-2002 | ნიგერიის ეროვნული ნაკრები | 40 მატჩი | 5 გოლი |

— შოთა მელაპარაკა თავისი ფეხბურთიდან გაცილების თამაშზე და, რა თქმა უნდა, ჩამოვალ. ძალიან გამიხარდა, ჩემმა მეგობარმა ბენეფის-მატჩში რომ მიმიწვია.

— როგორ დაახასიათებთ შოთა-ფეხბურთელს და შოთა-პიროვნებას?

— როგორც ფეხბურთელი, ის „აიაქსში“ ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო, ბევრი მნიშვნელოვანი და ლამაზი გოლი აქვს გატანილი. შოთა სპეციფიკური მანერის მოთამაშეა — აი, ისეთი, მოედანზე ადვილად რომ შენიშნავ და გამოარჩევ. პიროვნულადაც ჩვენი გუნდის სული და გული იყო, მოედნის გარეთ მხიარულობდა და ალბათ იცით, რომ „მისტერ ბინიც“ შეარქვეს. როცა ცუდ ხასიათზე ვიყავით ან ვინმეს რამე უჭირდა, მხოლოდ შოთას შეეძლო, ხასიათი გამოეკეთებინა.

— ფეხბურთს მიღმა საქართველოზე რა იცით?

— თითქმის არაფერი. მხოლოდ ქართველ ფეხბურთელებს ვიცნობ. ქვეყანას კი მალე გავიცნობ და დარწმუნებული ვარ, ძალიან მომეწონება.

— შოთას გარდა, რომელ ფეხბურთელებს იცნობთ?

— მის ძმას არჩილს, ასევე გიორგი ქინქლაძეს, რომელიც ასევე „აიაქსში“ თამაშობდა. ძალიან კარგი, ტექნიკური ფეხბურთელები იყვნენ. შოთაც ხომ ასეთია. ამით ჩანს, რომ ქართული ფეხბურთი სამხრეთული სტილისაა.

— საუკეთესო მწვრთნელი, ვისთანაც გიმუშავიათ, რომელი იყო?

— საბედნიეროდ, კარგი მწვრთნელების ხელი არ მაკლდა. ლუის ვან გაალი, მორტენ ოლსენი... თუმც ყველაზე უფრო ჰუუბ სტევენსთან მიადვილდებოდა მუშაობა, ის „როდაში“ იყო ჩემი მწვრთნელი.

— ფეხბურთის თამაშს სამი წლის წინ შევეშვით. ამჟამად რას საქმიანობთ?

— ნავთობის ბიზნესი მაქვს. ძირითადად ნიგერიაში ვსაქმიანობ — მთელი ქვეყნის მასშტაბით, თუმცა ევროპაშიც მაქვს კავშირები.

— ესე იგი, მწვრთნელობაზე არ ფიქრობთ?

— არა, ამაზე ჯერჯერობით არ მიფიქრია.

— ნიგერიას ისეთი ძლიერი ნაკრები აღარ ჰყავს, როგორც თქვენ დროს ან ცოტა უფრო ადრე — რაშიდი იეკინის, დანიელ ამოკაჩის, ჯეი-ჯეი ოკოჩას და ფინიდი ჯორჯის პერიოდში. ამის მიზეზი რა არის?

— პრობლემები მართლაც არის, პირველ რიგში კი ეს თაობათა ცვლას ეხება. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელი ნიგერიის ნაკრები სუსტია. მეტიც, საკმაოდ ძლიერია.

— ნიგერიის ჩემპიონატი რამდენად ძლიერია?

— კარგი ჩემპიონატი გვაქვს. ამაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ნაკრებში ბლომად არიან ნიგერიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები. ეს ძალიან კარგია. ესე იგი, შეიძლება კარგი ჩემპიონატი გვქონდეს. მაგრამ ისიც არის, რომ ყველას ევროპაში უნდა წასვლა და არცაა გასაკვირი: რაც უნდა იყოს, უფრო მაღალი დონეა და ფული ხომ მით უმეტეს... ერთი სიტყვით, პროფესიონალი ფეხბურთელი თუ ხარ, ევროპაში თამაშზე უარი არ უნდა თქვა.

— „აიაქსი“ ყოველთვის გრანდი ჩემპიონატების კლუბებში ფეხბურთელების იმპორტიორი იყო, თქვენი თანაგუნდელები „ინტერსა“ თუ „მილანში“ გადავიდნენ. ტიჯანი ბაბანგიდა კი ასე არ მოიქცა. რატომ?

— მოწვევები საკმაოდ მქონდა, მაგრამ ჰოლანდიას შეჩვეული ვიყავი, „აიაქსში“ სავსებით ბედნიერად ვგრძნობდი თავს.

— მალე ევროპის ჩემპიონატი დაიწყება და ვის ქომაგობთ?

— ცხადია, ჰოლანდიას. საუკეთესო წლები ხომ ჰოლანდიის კლუბებში გავატარე. თუმც ობიექტურად რომ ვთქვა, ვფიქრობ, ფავორიტი საფრანგეთია, ყველაზე ძლიერი ნაკრები ჰყავთ ევროპაში და მგონია, ისინი გახდებიან ჩემპიონები.

**ილია ნანობაშვილი**
**გიორგი დარჯანია**










ბადრი ქეთილაძის ფოტო

# პეტარ სეგრტის 24

27 მაისს საქართველოს ნაკრებს ესტონეთთან აქვს ამხანაგური მატჩი, 31-ში კი ევრო-2008-ზე წასასვლელად გამზადებულ პორტუგალიას გაეჯიბრება.

გუშინ ჩვენი ნაკრების დროებითმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა ის 24 ფეხბურთელი გამოაცხადა, რომლებსაც დღეს, 22 საათზე ტალინში წაიყვანს.

კახა კალაძის და გიორგი დემეტრაძის გარდა ნაკრებს გუშინ გამოაკლდა ლაშა სალუქვაძე, ვისაც მხარი ეტკინა და ათი დღე მოუწევს დასვენება.

სეგრტის რჩეულ 24-ეულს აქვე გთავაზობთ...

*მეკარეები: გიორგი ლომაია, გიორგი ლორია, გიორგი მაკარიძე;*

*მცველები: უჩა ლობჟანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, მალხაზ ასათიანი, გიორგი ნავალოვსკი, დავით კვირკველია, ამირან სანაია, ალექსანდრე კვახაძე;*

*ნახევარმცველები: ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ყენია, გიორგი ხიდეშელი, დავით დევდარიანი, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით ოდიკაძე, დავით მუჯირი;*

*თავდამსხმელები: გიორგი მერებაშვილი, ალექსანდრე იაშვილი, რატი ალექსიძე, ბექა გოცირიძე, რევაზ ბარაბაძე.*

და ერთიც: ესტონეთთან და პორტუგალიასთან მატჩების პირდაპირ რეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებელი შემოგთავაზებთ...

**ბაჩა შალამბერიძე**

# პლეი ოფი

ბოლნისი. 24 მაისი. 16.30 საათი. თამაზ სტეფანია

## გაგრა — სპარტაკი

მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, გ. ჩიგოგიძე, ლ. მიქელაძე, ლ. სილაგავა

# დაივიწყეთ და ითამაშეთ!

**დღეს** ბოლნისში ცხინვალის „სპარტაკი“ და „გაგრა“ ერთმანეთს უმაღლესი ლიგის საგზურს შეეცილებიან და ქართული საფეხბურთო სეზონიც ამით დასრულდება.

რამდენიმე დღის წინ „გაგრა“ მიჯრით მესამედ დამარცხდა პლეი ოფში — უხვგოლიან მატჩში (2:2) ჭიათურის „მაღაროელმა“ პენალტების სერიაში აჯობა და უმაღლესშიც ავიდა. ახალგაზრდა გაგრელები 120 წუთი ეომნენ იმერლებს, თუმც გამოცდილებამ თავისი გაიტანა, ბადრი ბრეგვაძის შეგირდებმა პენალტები უკეთ შეასრულეს და...

2006 წლის მაისში „გაგრა“ სწორედ „ცხინვალს“ დაუპირისპირდა პლეი ოფში და ამ მატჩს დიდი დაკა-დაკა ახლდა თან. ეს შეხვედრაც დამატებით დროში გადავიდა, „ცხინვალი“ 2:1 იგებდა, როცა 110-ე წუთზე ცხინვალელთა მეკარე გიზო შენგელია და გაგრელთა შემტევი ლაშა მამუკაშვილი მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში ერთმანეთს შეეჯახნენ. გულმოსულმა შენგელიამ მამუკაშვილს ხელი ჰკრა და ატყდა გუნდური ცემა-ტყეპა...

ტრიბუნებიდან გულშემატკივრებიც გადავიდნენ და თავ-პირის მტვრევა კარგა ხანს გაგრძელდა.

ლაშა სილაგავამ მატჩი შეწყვიტა და რამდენიმე დღეში სადისციპლინო კომიტეტმა „გაგრას“ 0:3 წაგება ჩაუთვალა. „ცხინვალი“ უმაღლესლიგელი გახდა, შარშან კი „სპარტაკი“ დაერქვა.

ამ ყველაფრის გახსენებაზე, დიდი იმედი გვაქვს, ბოლნისური მატჩი მშვიდობიანად ჩაივლის.

„სპარტაკმა“ მეორე წრეში ჩემპიონატის ლიდერებს მნიშვნელოვანი ქულები დასცინცლა, საქართველოს თასის მეოთხედფინალშიც გააღწია და თბილისის „დინამოს“ გვარიანი ბრძოლაც გაუმართა. ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე, უშუალო კონკურენტ თბილისის „ლოკომოტივთან“ რომ ემარჯვათ, ალბათ გადათამაშებასაც ასცდებოდნენ. კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდები 2:0 იგებდნენ და თბილისელები კაცნაკლულნი იყვნენ, თუმც იმდენი მოახერხეს, რომ ორი გოლი გაუშვეს, გატანის რამდენიმე ურეალურესი შანსიც ვერ გამოიყენეს და პლეი აუტშიც ისინი არიან. ცხინვალელებს დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავთ, „გაგრა“ კი ცხადაის მოისაკლისებს.

**ნუგზარი ლოლაძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ხიზანეიშვილი ახალ ბურგში

## აუგსბურგში ორი წლით

ოთარ ხიზანეიშვილის „ქაისერში“ გადასვლას თურქული წყაროები მოთავებულ ამბად თვლიდნენ, კლუბის ვებგვერდზე ქართველი მცველი წარდგენილიც იყო და მისი დოსიეც ეწერა, თუმც ოთარმა ორიოდ დღის წინ გვითხრა, გერმანიაში მსურს დარჩენა, ერთი ბუნდესლიგური და ერთიც მეორებუნდესლიგური ვარიანტი მაქვსო.

კარგი იქნებოდა, „ხიზა“ ბუნდესლიგაში გვენახა, თუმც მან „აუგსბურგი“ არჩია — ამ კლუბმა მეორე ბუნდესლიგის გასრულებულ სეზონში მეთოთხმეტე ადგილი დაიკავა, ისე კი, წინა სეზონი უკეთესი ჰქონდა. ოთარს რომ დავუკავშირდით, „აუგსბურგთან“ კონტრაქტზე ხელმოსაწერად შედიოდა, თუმცა დრო მაინც გამონახა...

— ორწლიან კონტრაქტზე ვაწერ ხელს. ყველაფერი შეთანხმებულია, ხვალ „აუგსბურგი“ ოფიციალურად წარმადგენს ახალ ფეხბურთელად. დღეს დილით სამედიცინო შემოწმება გავიარე. რაც უნდა იყოს, ტრავმები საკმაოდ მქონდა და სამი საათი მატარეს კაბინეტებში.

— „აუგსბურგის“ ვარიანტი ბოლო დღეებში გამოჩნდა?

— არა, ადრეც ვიცოდი მათი დაინტერესების შესახებ, მაგრამ კონკრეტულად არაფერი იყო ცნობილი და ამიტომაც გახმაურებას რა აზრი ჰქონდა...

— და რატომ გადაწყვიტე „აუგსბურგში“ გადასვლა? სხვა გუნდებისგანაც გქონდა წინადადება...

— ჯერ ერთი, გერმანიაში მსურდა დარჩენა, მეორეც, „აუგსბურგმა“ კარგი პირობები შემომთავაზა. ძალიან ბევრი გამიცდა, წინა სეზონი ხომ მთლიანად ჩამივარდა და ჩემთვის ახლა მთავარი იყო, ისეთ გუნდში გადავსულიყავი, სადაც მუდმივად ვითამაშებდი. ერთი სიტყვით, ფეხბურთის თამაში მინდა და „აუგსბურგში“ ამის ყველა პირობაა.

— ალბათ, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნები. ამაზე დაელაპარაკებოდი მწვრთნელს...

— დიახ. „აუგსბურგის“ მწვრთნელი ფოლგერ ფახია, ვისაც ადრეც უმუშავია ქართველ ფეხბურთელებთან და მეც მიცნობდა.

— მომავალ სეზონში „აუგსბურგის“ მიზანი მხოლოდ მეორე ბუნდესლიგაში დარჩენა იქნება თუ რაიმე სერიოზული პერსპექტივა ჩანს?

— კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად ემზადება ახალი სეზონისთვის. როგორც ვიცი, კარგი ფეხბურთელების ყიდვას აპირებენ. მიზანი მეხუთე-მეექვსე ადგილზე გასვლა იქნებაო, მითხრეს და ეს სულაც არ არის წარმოუდგენელი — მეორე ბუნდესლიგაში გუნდებს შორის დიდი განსხვავება არაა. და კიდევ, „აუგსბურგს“ გაისად გალამაზებული სტადიონი ექნება, რომელიც 35 000 გულშემატკივარს დაიტევს.

— „ფრაიბურგი“ ნაწყენმა დატოვე?

— არა, რატომ?! ფრაიბურგში გულშემატკივრებს ვუყვარდი, პატივისცემას ვგრძნობდი. აი, მწვრთნელზე კი რა გითხრათ: რობინ დუტი არასამართლიანი კაცია — ფოლკერ ფინკე რომ წავიდა, დუტმა თავისი ფეხბურთელები მოიყვანა, მე და რამდენიმე სხვასაც შანსი აღარ მოგვცა. ჩემთან ერთად „ფრაიბურგი“ მეკარე ვალკემ და თავდამსხმელმა პიტროიპამ დატოვეს, ისინიც სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ, არადა, ძირითადებს აშკარად სჯობდნენ.

*ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ხიზანეიშვილამდე ოთხ ქართველს უთამაშია „ფრაიბურგში“, თუმც ეს კარგა ხნის წინ, 90-იანების შუაში: მიხეილ საჯაიას, ბესიკ შენგელიას, ვახტანგ იაგორაშვილს და კახა სიდამონიძეს.*

**ილია ნანობაშვილი**





საქართველოს ნაკრები 27 და 31 მაისს ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს ესტონეთისა და პორტუგალიის ნაკრებების წინააღმდეგ.
ეროვნული გუნდის დროებითმა თავკაცმა პეტარ სეგრტმა შეკრებაზე 34 ფეხბურთელი იხმო, სადაც გოგიტა გოგუასთვის ადგილი არ გამოიძებნა. ხორვატმა ისიც აღნიშნა, რომ გოგუას და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელის შესაძლებლობებს იცნობს და მათთვის ნაკრების კარი დაკეტილი არ არის, თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია ფეხბურთელისთვის, რომელსაც ნაკრებში თამაში სურს და შვებულებით საქართველოში მყოფი ნალჩიკელთა ნახევარმცველი გულდაწყვეტილი ჩანს...

# გულდაწყვეტილი როგორ არ ვიქნები?!

## გოგიტა გოგუა: ნაკრებისთვის მაინც ვიბრძოლებ

— 34 ფეხბურთელში რომ ვერ მოვხვდი, ალბათ, ღირსი არ ვარ — ასე დაიწყო საუბარი გოგუამ, თუმც მის სიტყვებში უფრო ნაღველი შევნიშნეთ, ვიდრე მწარე სიმართლე...

**— ძალიან გულდაწყვეტილი ჩანხარ...**

— გულდაწყვეტილი როგორ არ ვიქნები?! ნაკრებში თამაში ყოველთვის მიხარია და როცა მითამაშია, თავი არ დამიზოგავს. მგონი, ცუდი მატჩები არ ჩამიტარებია. ალიენ ჟირესის გარდა, ნაკრების არც ერთი მწვრთნელი ბოლომდე არ მენდო, რატომღაც არ სჯერათ ჩემი, თუმც იმასაც ვფიქრობ, რადგან „ნალჩიკში" ვთამაშობ, იმის გამოც არ მეძახიან. რატომ ჰგონიათ, რომ „ნალჩიკი" სხვაზე სუსტი გუნდია?! ევროპის ერთ-ერთ ძლიერ ლიგაში საკმაოდ სტაბილურად თამაშობს.

**— და რატომ ფიქრობ, რომ ამის გამო არ დაგიძახეს?**

— არც ერთი ნალჩიკელი არ მიუწვევიათ. ალეკო ამისულაშვილი რუსული პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო მცველია და ეს ცოტას არ ნიშნავს...

**— მიზეზი არ უთქვამთ?**

— არა. ძალიან მწყდება გული, მაგრამ ნაკრებში მოსახვედრად მაინც ვიბრძოლებ.

**— „ნალჩიკში" მეორედ მიბრუნებულს როგორ დაგხვდნენ?**

— თბილად მიმიღეს. ადრე იქ ერთ-ერთი საუკეთესო სეზონი ვითამაშე, თუმც, ვფიქრობ, წლევანდელი უკეთესია.

**— მწვრთნელებიც და ფეხბურთელებიც გუნდის ლიდერად მიგიჩნევენ, თუმც ისეთი შედეგიანი სეზონი არ გაქვს, როგორიც პირველ წელს იყო...**

— გოლების მხრივ არ მწყდება გული, არც მქონია რამე რეალური მომენტი. საგოლე პასები კი ვაკეთე, მაგრამ პარტნიორებს ველარ გაჰქონდათ. მთლიანაობაში მაინც კმაყოფილი ვარ, ერთი გოლიღა მაკლია, მაგრამ, ვფიქრობ, ეგეც იქნება.

**— ამ ბოლო ხანს მოედანზე უფრო მშვიდი ჩანხარ, ჩვეულად ჟინიანი, მაგრამ იმდენ ბარათს აღარ იღებ...**

— ბარათების მიღებას მართლა მოვუკელი, მაგრამ სახელი მაინც შემრჩა და ყველა ჩემი ორთაბრძოლისას მსაჯებს ინსტინქტურად ჯიბისკენ მიაქვთ ხელი. ამ სეზონში ერთხელ გამაგდეს და ისიც ტყუილუბრალოდ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ვაჟა თარხნიშვილი: დავლიეთ, აბა, რა ვქენით...

ტირასპოლის „შერიფის" კაპიტანს და მოლდოვაში ტიტულებით დახუნძლულ ვაჟა თარხნიშვილს იქაური ჟურნალისტი ქვეყნის თასის ფინალში „ნისტრუსთან" გამარჯვების (1:0) შემდეგ გაესაუბრა...

— არ დაიღალეთ ამდენი ჯილდოებით?

— რას ამბობთ, განა ამისგან ვინმე იღლება?!

— არ გგონიათ, რომ მოლდოვაში ყველაფერს იოლად იგებთ?

— ასეთ მოგებას იოლი არ ეთქმის. წინა ფინალებში კი სულაც ოდენ პენალტებშიც გაგვიმარჯვია.

— თასი ახალი ფორმატისაა, საიდანაც შამპანურს ვერ დალევთ. ამან არ გაგაწბილათ?

— არანაირად. შამპანური ისედაც დავლიეთ, ოღონდ სხვა სასმისით.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ „შერიფში" თქვენი ყოფნის პერიოდში გუნდი მოლდოვაში საუკეთესოა?

— კი, რა თქმა უნდა.

— და ჩემპიონთა ლიგაში რატომ ვერ აჩერხებთ წარმატებულ თამაშს?

— ეს უკვე სხვა თემაა, ახლა ძნელია ამაზე ლაპარაკი.




# უეფამ ევროპული ნაკრებები ჩამოწერა

## საქართველომ 40-მდე დაამრგვალა



უეფას პრეზიდენტი მიშელ პლატინი

**ოთხშაბათს** მოსკოვში მარტო ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი არ გამართულა — რუსეთის მთავარქალაქში უეფას აღმასრულებელი კომიტეტიც შეიკრიბა და ახალი კოეფიციენტების დათვლის სისტემა დაამტკიცა ეროვნული ნაკრებებისთვის.

ახალი სისტემა გაცილებით ზუსტად ასახავს გუნდების ნამდვილ ძალას, რადგან მხედველობაში მიღებულია მათ მიერ ნაჩვენები შედეგები მხოლოდ შესარჩევ ეტაპებსა და ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

უეფას აზრით, სისტემის გაუმჯობესება ზუსტად დააბალანსებს სპორტული სამართლიანობის პრინციპებს ორივე მნიშვნელოვან ტურნირზე, რაც, პირველ რიგში, ნაკრებების კალათებში სწორად განთესვაზე იმოქმედებს როგორც შესარჩევ, ასევე ფინალურ ეტაპებზე.

პირველი დათვლა უკვე შედგა და მასში მოცემულია მხოლოდ ევრო 2004-ის (შესარჩევი და ფინალური), მსოფლიოს 2006-ის (შესარჩევი და ფინალური) და ევროპის 2008 წლების (შესარჩევი) სანაკრებო მაჩვენებელი, რომლის შედეგად საქართველოს ეროვნულ გუნდს 18,110 ქულა აქვს და ევროპაში მე-40 ადგილი უჭირავს.

ცხრილის სათავეში ქართველთა მომავალი მეტოქე მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევ ეტაპზე იტალიის ნაკრებია (36,986). სხვა ჩვენი თანაჯგუფელების მაჩვენებელი ასეთია: ბულგარეთი (28,109) — მე-18 ადგილი, ირლანდია (25,395) — 25-ე ადგილი, კვიპროსი (17,799) — 41-ე ადგილი, ჩერნოგორია (0) — 53-ე ადგილი.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

სრული სია ასეთია:

| | | |
|---|---|---|
| 1 | იტალია | 36,986 |
| 2 | საფრანგეთი | 36,219 |
| 3 | ჩეხეთი | 36,025 |
| 4 | გერმანია | 35,655 |
| 5 | პორტუგალია | 35,370 |
| 6 | ჰოლანდია | 34,573 |
| 7 | ინგლისი | 34,323 |
| 8 | ესპანეთი | 34,000 |
| 9 | საბერძნეთი | 33,749 |
| 10 | შვედეთი | 33,075 |
| 11 | ხორვატია | 32,825 |
| 12 | რუმინეთი | 32,135 |
| 13 | პოლონეთი | 30,581 |
| 14 | თურქეთი | 30,557 |
| 15 | რუსეთი | 29,912 |
| 16 | შვეიცარია | 29,674 |
| 17 | დანია | 28,493 |
| 18 | ბულგარეთი | 28,109 |
| 19 | სერბეთი | 27,447 |
| 20 | ნორვეგია | 27,425 |
| 21 | ისრაელი | 27,326 |
| 22 | უკრაინა | 27,143 |
| 23 | შოტლანდია | 27,021 |
| 24 | სლოვაკეთი | 25,399 |
| 25 | ირლანდია | 25,395 |
| 26 | ფინეთი | 24,798 |
| 27 | ბელგია | 24,041 |
| 28 | ბოსნია | 23,932 |
| 29 | ავსტრია | 23,810 |
| 30 | ლატვია | 22,756 |
| 31 | უნგრეთი | 22,223 |
| 32 | ლიტვა | 21,731 |
| 33 | სლოვენია | 21,551 |
| 34 | უელსი | 21,145 |
| 35 | ჩრდ. ირლანდია | 20,808 |
| 36 | ალბანეთი | 19,701 |
| 37 | ესტონეთი | 19,692 |
| 38 | მაკედონია | 18,914 |
| 39 | ბელარუსი | 18,744 |
| 40 | საქართველო | 18,110 |
| 41 | კვიპროსი | 17,799 |
| 42 | ისლანდია | 17,000 |
| 43 | მოლდოვა | 16,989 |
| 44 | სომხეთი | 16,555 |
| 45 | ლიხტენშტაინი | 14,451 |
| 46 | ყაზახეთი | 13,331 |
| 47 | აზერბაიჯანი | 12,913 |
| 48 | მალტა | 11,970 |
| 49 | ანდორა | 10,288 |
| 50 | ლუქსემბურგი | 9,671 |
| 51 | ფარერები | 9,403 |
| 52 | სან მარინო | 7,948 |
| 53 | მონტენეგრო | 0 |


მარიო ბალოტელი


მატეო სერენი

# პატარებიც დავაფასოთ

**იტალიელმა** ჟურნალისტმა ანტონიო ლაბატემ დაახლოებით ერთი კვირის წინ დასრულებული სერია A-ს იმ შედარებით ნაკლებ სახელიან ფეხბურთელებს, რომლებიც კარგი სეზონის მიუხედავად ცნობილი ვარსკვლავების ჩრდილში მოექცნენ, საინტერესო ჩანახატი მიუძღვნა...

ახლახან დასრულდა ჩემპიონატი და მკითხეს, სეზონის საუკეთესო მოთამაშეებად ვის დაასახელებდიო. მათ ვინც ცნობისმოყვარენი ხართ, გეტყვით, რომ ჩემი არჩევანი თანმიმდევრობით ასეთია — „ინტერის" მეკარე ჟულიო სეზარი, „იუვენტუსის" კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო და „სამპდორიას" „ფანტაზისტა" ანტონიო კასანო.

ჩემი არჩევანის ჩამოყალიბებიდან გარკვეული დროის შემდეგ, მივხვდი, რომ სერია A-ში ბევრნი არიან შედარებით ნაკლებად ცნობილი ფეხბურთელები, რომლებიც გამოხმაურებას იმსახურებენ, რადგან 2007-2008 წლების სეზონი ძალიან კარგად ჩაატარეს.

პირველად „ნაპოლიზე" უნდა ვთქვათ. ქალაქი შესაძლოა საშინლად დაბიძურებული გახლდათ ჩემპიონატის მიმდინარეობისას, მაგრამ იმას რაც უშუალოდ „სტადიო სან პაოლოზე" ხდებოდა ხოლმე, ამასთან კავშირი არ აქვს. ნეაპოლელები განსაკუთრებით შინ ირჯებოდნენ ბრწყინვალედ და ამას ეზეკიელ ლავეცისა და მარეკ ჰამშიკს უნდა უმადლოდნენ.

ისინი გუნდში ტრანსფერების გურუმ, პიერპაოლო მარინომ მოიყვანა და მათაც მოლოდინს გადააჭარბეს. ლავეციმ თავისი საოცარი ფინტებით და ქმედებებით დაამტკიცა, რომ ბრწყინვალე შენაძენია. ჰამშიკმა კი გვაჩვენა, რომ ამ პატარა ბიჭს სერია A-ში თამაში უკვე ისე შეუძლია, რომ რამდენიმე მატჩის ბედი გადაწყვიტოს კიდეც. დიდმა კლუბებმა ეს ორი მოთამაშე ზაფხულში აშკარად შეცდომით გაუშვეს ხელიდან.

ალბათ ბევრი არც ვეტერან მატეო სერენის აიყვანდა გუნდში. „ლაციოში" წარუმატებელი პერიოდის მერე თავისუფალ აგენტად გამხდარი გამოცდილი მეკარე „ტორინომ" მიიღო და სერენიმ ტურინელებს სამადლობელოდ დიდებული სეზონი აჩუქა.

„სამპდორიასა" და „იფსვიჩის" ყოფილი პირველი ნომრის დამსახურებაა, რომ „ტორინოს" სერია A-ში დარჩენის პრობლემა კიდევ უფრო მძიმედ არ დააწვა მხრებზე. აბსურდია, რომ იგი იტალიის ნაკრებში მესამე მეკარედაც ვერ მოხვდა, როცა რობერტო დონადონის გოლკიპერებში დიდი არჩევანის საშუალება ნამდვილად არ ჰქონია.

რეჯინელმა ჩიჩო კოცამ, „სამპდორიას" კრისტიან მაჯომ, ატალანტელმა კრისტიანო დონიმ და უდინეზელმა ანტონიო დი ნატალემაც სხვებთან ერთად ჩინებულად ჩაატარეს სეზონი. თუმცა გამოჩნდნენ სულ ახალგაზრდა, ნორჩი ტალანტებიც, რომლებისთვისაც სერია A-ს კარი გაიღო, რადგან გუნდებმა ფინანსური კრიზისის გამო, უამრავი ლეგიონერი ვერ დაიმატეს.

„ემპოლიში" განათხოვრებულმა იუვენტუსელმა სებასტიან ჯოვინკომ იმდენი ქნა, რომ მომავალი სეზონისთვის უკან ტურინში უხმობენ. „ინტერის" საკუთრებაში მყოფმა რობერტ აკვაფრესკამ „კალიარიში" დაამტკიცა, რომ მისგან შესაძლოა სერიოზული გოლეადორი დადგეს. ნამდვილი ვარსკვლავის დაბადება კი შეგვიძლია მარიო ბალოტელის გამოჩენას დავარქვათ.

შეიძლება, ბევრმა ვერც კი გაიაზრა, რამდენად მნიშვნელოვანი გახლდათ ეს 17 წლის თავდამსხმელი „ინტერისთვის". მას უკვე ეძახიან მკვდარი ბურთების სპეციალისტს, ის ჩინებულია დამაგვირგვინებელ ფაზაში და მეტოქის მეკარეებს შანსს არ უტოვებს. შესაძლოა, ბალოტელის ბევრი არ უთამაშია, მაგრამ თავისი ამოცანა ფრიადზე შეასრულა.

**ანტონიო ლაბატე**

# რა სჭირდება ტრანსფერს? ძალიან ცოტა რამ: ფული!

**ლუჩო გონსალესის** „ატლეტიკოში" მისვლას დღეს ხელს მხოლოდ ფინანსები უშლის. ფეხბურთელს სურს, კარიერა „ვისენტე კალდერონზე" გააგრძელოს და „პორტუც" მის გასაყიდად მზადაა. აი, აქ კი საქმე რთულდება — „პორტუს" პრეზიდენტი ნუნუ პინტუ და კოშტა არგენტინელში 20 მილიონ ევროს ითხოვს, რაც მადრიდელებს გულზე არ ეხატებათ.


პინტუ და კოშტა

გონსალესმა თავის მეგობრებს განუცხადა, რომ პინტუ და კოშტას ადრინდელი დანაპირების იმედი აქვს — თავის დროზე, პრეზიდენტს ფეხბურთელისთვის აღუთქვამს, თუ სადმე სხვაგან წასვლა მოინდომე, შენს ნება-სურვილს წინ არ აღვუდგებითო. შარშან ლუჩომ „ვალენსიადან" სარფიანი წინადადება მიიღო, მაგრამ მაშინ პორტუგალიურმა კლუბმა „ღამურებს" უარი უთხრა და არც გონსალესი გახლდათ „მესტალიაზე" მოხვედრის შესაძლებლობით აღფრთოვანებული. ახლა კი პატაგონიელს ესპანეთიდან და იტალიიდან ბლომად მთხოვნელები მოაწყდნენ და თავადაც სურს „პორტუს" მიტოვება. რომელიმე გრანდ ლიგაში მოსახვედრად ხომ მან სამი წელი მოთმინებით ითამაშა ლუზიტანიის ჩემპიონატში.

ოღონდ ლუჩომ „დრაკონთა" პრეზიდენტის სიჯიუტეც იცის — სეუ პინტუ და კოშტა თეთრზე რომ იტყვის შავიაო, ძნელია, გადაათქმევინო და ამიტომაც, მასთან სატრანსფერო გარიგებაც გართულდება. თან გონსალესი პორტუში ფანატიკურად უყვართ. ჩამოსვლის დღიდანვე „პორტუს" გულშემატკივრებმა მასში გუნდის ლიდერი და თავიანთი კერპი დაინახეს.

ასე რომ, ლუჩოს „პორტუსთან" დამოკიდებულება შესანიშნავია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ არგენტინელ კაპიტანს „დრაგაუზე" ყოფნის პერიოდი უმთავრდება. გონსალესმა უკვე რამდენიმე დღის წინ გაამხილა თავისი გეგმები მადრიდის „ატლეტიკოში" გადასვლის თაობაზე. „პორტუც" „როსარიო სენტრალის" ტომას კოსტას დაუკავშირდა, ვინც მოედანზე სწორედ ლუჩოს პოზიციაზე თამაშობს. პორტუგალიური კლუბის მწვრთნელმა ჟესუალდუ ფერეირამაც გამოაცხადა, გონსალესის სავარაუდო წასვლის შესახებ ინფორმირებულნი ვართ და მისი „ატლეტიკოში" ან სხვა გუნდში თამაშის დაწყება ჩვენთვის ტრაგედია არ იქნებაო. ლუჩო მაისის ბოლომდე პორტუში დარჩება, შემდეგ კი არდადეგებზე მშობლიურ პატაგონიას მიაკითხავს.

„პორტუს" „ათლეტთა" გუნდიდან კლებერ სანტანა მოსწონს და მოსალოდნელია, ეს ფეხბურთელი ლუჩოს ტრანსფერში ჩართონ. „დრაგაუს" მესვეურნი კლებერს „სანტოსის" პერიოდიდან აკვირდებიან.

**ლადო ხომერიძე**

# მიატოვიჩის ოცნება
## კლაას ჰუნტელაარი აიაქსის მარცხმა რეალს მიუახლოვა



**ბერნდ შუსტერი** „რეალისთვის" ახალ ფორვარდს ეძებს, რათა სამომავალსეზონოდ რუუდ ვან ნისტელროის მოულოდნელმა ტრავმიანობამ სამეფო გუნდი შოკში კვლავ არ ჩააგდოს.

მადრიდელები კლაას იან ჰუნტელაარს ადრეც უმიზნებდნენ და ახლა, როცა „აიაქსი" ჩემპიონთა ლიგაში ვერ მოხვდა, ეს ტრანსფერი შედარებით იოლად მოსაგვარებელი ჩანს.

„სანტიაგო ბერნაბეუზე" 25 წლის ჰუნტელაარის თავდები სამეფო გუნდის სპორტული დირეტორი პრედრაგ მიატოვიჩია. ჩერნოგორიელი დირექტორი პრეზიდენტ კალდერონს ისე დაჟინებით სთხოვს ჰოლანდიელის ყიდვას, რომ ესპანურმა გაზეთებმა ჰუნტელაარს „ელ სუენიო დე მიატოვიჩი" (მიატოვიჩის ოცნება) შეარქვეს...

კლაას იანის „აიაქსმა", როგორც ვთქვით, ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი დაკარგა და მადრიდელებიც დაფაცურდნენ — ამსტერდამელთა უიღბლობით უკმაყოფილო მეგოლე (ჰუნტელაარმა გასულ სეზონში 33 გოლი გაიტანა და ერედივიზიონის მთავარმეგოლის ტიტული მოიპოვა), „ბერნაბეუზე" მალე გადმოვიყვანოთო. მით უმეტეს, რომ ფორვარდსაც უთქვამს, მომავალ სეზონში უეფას თასზე წვალებას არ ვაპირებო.

„მიატოვიჩის ოცნებასთან" დაკავშირებით შეიძლება ესეკიელ გარაის მსგავსი ვარიანტიც გათამაშდეს. ჰუნტელაარი „რეალთან" ხუთსეზონიანი კონტრაქტის გაფორმების შემდეგ ერთი წლით, ალბათ, „აიაქსში" იჯარით დარჩება და სამეფო გუნდს ამის შემდეგ მიაკითხავს.

**ლადო ხომერიძე**

## კლოპი დოლის მაგიერ

**„დორტმუნდის"** მწვრთნელად გუშინ იურგენ კლოპი დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს. მან თომას დოლი შეცვალა, რომელიც სეზონის დასრულებისთანავე გადადგა. დოლის ხელში გუნდი მე-13 ადგილზე გავიდა, რაც კლუბის ისტორიაში, ბოლო ოც წელიწადში, უცუდესი შედეგია. ერთი კვირის წინ „მაინციდან" წასულმა კლოპმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ჩემთვის დიდი პატივია „დორტმუნდში" მუშაობა და შევეცდები, რომ გუნდმა მომავალ სეზონში უკეთესი ადგილი დაიკავოს".

## რვასაათიანი დაუმი

**ბუნდესლიგაში** გადასულ „კიოლნს" მომავალ სეზონშიც კრისტოფ დაუმი უთავკაცებს. პირველი წრის დასრულების შემდეგ დაუმმა თქვა, რომ თუ გუნდს ზედა ლიგაში ვერ გადაიყვანდა, სეზონის ბოლოს წავიდოდა. რაკი მიზანს მიაღწიეს, მწვრთნელი დარჩა, ოღონდ ჯამაგირის მომატება მოითხოვა. რვასაათიანი მოლაპარაკების შედეგად, კლუბის შეფები დაუმს პირობებზე მოურიგდნენ და კონტრაქტი ორი წლით გაუხანგრძლივეს.

## ანელკა სქემაში გაიხლართა

**ჩემპიონთა** ლიგის ფინალში პენალტის ვერგამტანი ნიკოლა ანელკა „ჩელსიში" თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა. ფრანგ ფორვარდს არ მოსწონს, რომ ავრაამ გრანტი ფლანგზე ამწესებს. „როცა „ჩელსიში" გადავდიოდი, მითხრეს, რომ 4-4-2 სქემით ვითამაშებდით — თქვა ანელკამ „ეკიპთან" — მაგრამ ხან მარჯვენა ფლანგზე ვარ, ხან მარცხენაზე. „ჩელსიში" ამისთვის არ გადავსულვარ და ცენტრფორვარდობა მირჩევნია. მწვრთნელთან არ დამიჩივლია, რადგან ახალი მისული ვიყავი, მაგრამ ამ ახლა აუცილებლად დაველაპარაკები".

**გაგა ხუციშვილი**












ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესანიშნავი ბარსელონასთვის

**პეპ გვარდიოლას** სამომავალსეზონო „ბარსელონას“ გასაძლიერებლად, კატალონიელი აგენტები ევროპულ სატრანსფერო ბაზარს აკვირდებიან. მოლაპარაკება ამჟამად 10 ფეხბურთელთან მიმდინარეობს და, როგორც კატალონიური „სპორტი“ აცხადებს, ამათგან 7 „ბარსას“ წევრი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში გახდება.

ფეხბურთელთა პირველი სამეული, რომელსაც შეგვიძლია, „თითქმის განაღდებულები“ ვუწოდოთ, ხერარდ პიკეს, დანიელ ალვეშის და სეიდუ კეიტასგან შედგება.

კატალონიელ პიკესთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია, „ბარსელონა“ მასში 5 მილიონ ევროს გადაიხდის და ისიც 4 სეზონით დარჩება „კამპ ნოუზე“. პიკე, „მანჩესტერთან“ ერთად ჩემპიონთა თასის მოგების შემდეგ, პარასკევს ბარსელონაში ჩაფრინდა, რათა კატალონიის ნაკრების შემადგენლობაში არგენტინელების წინააღმდეგ ეთამაშა. მისი პრეზენტაცია მალე შედგება „კამპ ნოუზე“.

„ბარსას“ ფორმას ალვეშიც და კეიტაც მოირგებენ, ოღონდ მათი საკლუბო წარდგენები მოგვიანებით მოხდება. ხუან ლაპორტას ორივე ეს ფეხბურთელი დათანხმებული ჰყავს და ახლა ჯერი „სევილიაზეა“. ანდალუზიელებმა იციან, რომ მათთვის ალვეში და კეიტა უკვე წარსულია და ამ ბიჭებით სალაროს შევსებას აპირებენ. ტრანსფერები შეიძლება, 40 მილიონ ევროდ გადაწყდეს.

ამ სამეულს ფაბრიციო კოლოჩინი და ალექსანდრ გლები მივუმატოთ. არგენტინელი კოლოჩინი თვლის, რომ „დეპორტივოში“ რაც გასაკეთებელი იყო, უკვე გაკეთდა, ხოლო სატრანსფერო შემოთავაზებათაგან მისთვის ყველაზე მიმზიდველი „ბარსელონას“ ვარიანტია. „დეპორის“ პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდოირომ შარშან „სარაგოსაში“ გადასასვლელად გამზადებული კოლოჩინი კი დააოკა, მაგრამ გალისიელთა თავკაცი ახლა ხვდება, რომ „ბარსას“ ჯადოს აყოლილ არგენტინელს ველარ შეაჩერებს. ფაბრიციო კოლოჩინი „კამპ ნოუზე“, სავარაუდოდ, 10 მილიონი ევროს ფასად გადავა.

გლების სიტუაციაც მსგავსია. ბელარუსს „არსენალში“ დარჩენა აღარ სურს და თვლის, რომ 27 წლის ასაკში ბედი სხვა კლუბში უნდა სცადოს. გლებს გრანდებიდან „ბარსელონა“-„ინტერის“ წყვილი უტევს, „მეთოფეს“ კი („სპორტის“ ვერსიით) „ბარსა“ უფრო მოსწონს, გვარდიოლას მიერ ნაქადაგევი მოიერიშე ფეხბურთი უფრო ახლოსაა გლებთან, ვიდრე იტალიური სერია A, სადაც უპირატესობას ტაქტიკურ ომებს ანიჭებენ.

მარცხენა ფლანგზე „ბარსელონას“ ფავორიტი ფლორენ მალუდაა. ფრანგმა ოთხშაბათს მოსკოვის საჩემპიონთალიგო ფინალში ძირითადში ითამაშა და „ჩელსიც“, ალბთ, ასე ადვილად არ დათანხმდება თავისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფეხბურთელის გასვხისებას. მალუდას ფასი 20 მილიონი ევროა, თუმცა „ბარსა“ „ჩელსის“ დათმობაზე წასვლას ელოდება. აბრამოვიჩის ბანაკი ზაფხულში ახალი ვარსკვლავების, მათ შორის, მადრიდელი რობინიოს ყიდვას აპირებს და ამან, შეიძლება, ფრანგის კატალონიაში გადაბარგება გააადვილოს.

თუ მალუდას ვარიანტი ჩაიშალა, „ბარსელონა“ მთელ ყურადღებას დავიდ სილვაზე გადაიტანს. სილვას „ვალენსიასთან“ კონტრაქტი 2013 წლამდე აკავშირებს და მისი „მესტალიადან“ ვადამდელი წასვლის ოფიციალური თანხაც 90 მილიონი ევროა. თუმცა „ღამურები“ საკლუბო რესტრუქტურიზაციას აპირებენ და უნდათ, უპირველეს ვარსკვლავთა (დავიდ სილვა, დავიდ ვილია) შედარებით ნორმალურ ფასში გასხვისებით სალარო შეივსონ. მალუდას მსგავსად, სილვასაც, ალბათ, 20 მილიონის მიღების შემთხვევაში შეელევიან.

გოლი ყველაზე ძვირი ღირს და, ბარსელონელებიც ცენტრალურ თავდამსხმელში ფულს არ დაიშურებენ. ადებაიორმა, გლების მსგავსად, განაცხადა, რომ „არსენალს“ ტოვებს. ეს ფეხბურთელი „ბარსაში“ გადასვლის მოსურნეა და მისი ფასიც კატასტროფულად არ ითვლება — 25 მილიონი ევრო.

ამ თანხად შეიძლება, დიმიტარ ბერბატოვიც „მიიტყუონ“ „კამპ ნოუზე“. ბულგარელს „ტოტენჰემის“ დატოვება სურს და „დეზებთან“ ერთად, მისმა ჩინებულმა სეზონმა კატალონიური გრანდის გარდა, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყურადღებაც მიიპყრო. გარდა ამისა, ბერბატოვს „მილანი“ და მადრიდის „რეალიც“ აკვირდებიან.

ბარსელონელ მოიერიშეთა შორის ქარიმ ბენზემაც ითვლება, მაგრამ ლაპორტას აგენტებს მისი გამოჭერა გაუჭირდებათ. ბენზემას „ლიონში“ დარჩენა უნდა და ფრანგული კლუბიც თავის ვარსკვლავს 50 მილიონ ევროდ აფასებს.

**ლადო ხომერიკი**

# ჩვენ, აფრიკელები... ემანუელ ადებაიორი ტოგოს გააგიჟებს

**ემანუელ ადებაიორი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი თანამედროვე აფრიკელი ფეხბურთელია. მან უკვე დაიმკვიდრა ევროპაში და კერძოდ, „არსენალში“ თავისი ადგილი. გასულ სეზონში იგი ლონდონელებს 24 გოლით შეეწია. ახლახან, fifa.com-ი „მეთოფეების“ 24 წლის ტოგოელ თავდამსხმელს გაესაუბრა**



**— თქვენს დარად ძალიან ბევრი ნიჭიერი აფრიკელი ფეხბურთელი მკვიდრდება ევროპაში...**

— ვცდილობთ მაქსიმუმი გავაკეთოთ ამისთვის. მოსაზრება, რომ აფრიკელი ზარმაცია, აღარ არსებობს, რადგან დამტკიცდა, რომ თუ შანსს მისცემ, მასაც სხვა ნებისმიერისთვით შეუძლია წარმატების მიღწევა და შრომა.

**— ახლანდელი აფრიკელი ფეხბურთელებისთვის რთული არ არის თავის წარმოჩენა, როცა წარსულში ევროპაში როჟე მილასა და ჟორჟ ვეას დარი ვარსკვლავები თამაშობდნენ?**

— მილას, ვეას, აბედი პელესა და ნვანკვო კანუს დარმა ფეხბურთელებმა გზა გაგვიკვალეს. ახლა კი ჩვენი ამოცანა მათი დაწყებული საქმის გაგრძელება და მომავალი თაობებისთვის გზის კიდევ უფრო მეტად გაკვალვაა.

**— თქვენ ლამის მარტომ გაიყვანეთ ტოგო 2006 წელს ისტორიაში პირველად მსოფლიოს ჩემპიონატზე. 2010 წელს მუნდიალს სამხრეთ აფრიკა მასპინძლობს. ხომ არ გგონიათ, რომ დროა, ბოლოს და ბოლოს, აფრიკულმა გუნდმაც მოიგოს მსოფლიოს ჩემპიონატი?**

— უამრავი აფრიკელი ფეხბურთელის ევროპაში წარმატებული თამაშის შემდეგ, სამართლიანია, რომ მუნდიალის ჩვენს კონტინენტზე ჩატარება გადაწყდა. ვფიქრობ, აფრიკულ ნაკრებს შეუძლია 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება.

**— 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის როგორი შანსი აქვს ტოგოს?**

— როცა 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გავედით, ტოგო საგიჟეთს დაემსგავსა. ეს დიდი მიღწევა გახლდათ ჩვენი პატარა ქვეყნისთვის და ყველანი ამაყები ვიყავით. ვიცი, რომ თუ ახლაც გავალთ ფინალურ ეტაპზე ეს კიდევ უფრო დიდ სიგიჟეს და საოცარ სიხარულს გამოიწვევს. მომავალი მუნდიალი აფრიკაშია და მისი გამოტოვება ნამდვილად არ გვინდა.

**— ბევრს ეჭვი ეპარებოდა იმაში, რომ სამხრეთ აფრიკისთვის მუნდიალის ჩატარების მინდობა სწორი გადაწყვეტილება იყო. თქვენ რას ფიქრობთ?**

— ეს ძალიან ჰგავს იმ შემთხვევას როცა აფრიკელი ფეხბურთელი ჩადის ევროპაში სათამაშოდ და მას ყველა ეჭვის თვალით უყურებს და აკრიტიკებს. ხოლო როცა კარგად დაიწყებს თამაშს და შესაძლებლობებს გამოავლენს, იგივე ხალხი აქებს. დარწმუნებული ვარ, სამხრეთ აფრიკა, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება, მაღალ დონეზე უმასპინძლებს მსოფლიოს ჩემპიონატს და ყველა კმაყოფილი დარჩება.

**— ტიერი ანრიმ „არსენალი“ წინა ზაფხულს დატოვა და თქვენზე ალბათ დიდი ზეწოლა იყო. ანრი უნდა შეგეცვალათ...**

— პრესაში წერდნენ, რომ ანრის გარეშე „არსენალი“ ძველებურად ველარ ითამაშებდა. მე კი მინდოდა დამემტკიცებინა, რომ ეს მცდარი მოსაზრება იყო და შემეძლო, გუნდისთვის რაღაც განსაკუთრებული შემეთავაზებინა. მშვიდად ვთამაშობდი და ვცდილობდი, მაქსიმალური სიამოვნება მიმეღო, ბრწყინვალე მოგებები და გოლებიც გამოგვდიოდა. ზოგჯერ მეცინება კიდეც, მერე იგივე პრესამ, მტკიცება რომ დაიწყო, საუკეთესონი არიანო.

**— როგორია იყო არსენ ვენგერის ერთ-ერთი აღმოჩენა?**

— ისეთი დიდი ვარსკვლავები, როგორიც ტიერი ანრი და პატრიკ ვიეირა არიან, ვენგერმა გახსნა და აათამაშა. ამით ყველაფერი ნათქვამია.

**— რამდენად მნიშვნელოვანია „არსენალი“ ემანუელ ადებაიორისთვის?**

— „არსენალი“ ჩემთვის სახლივითაა, რადგან ჩვენ ერთი ოჯახივით ვცხოვრობთ. ეს საუკეთესო ადგილია. აფრიკელმა ფეხურთელებმა, კოლო ტურემ, ემანუელ ებუმ და ალექსანდ სონგმა ჩვენი კულტურა სხვა თანაგუნდელებს გააცნეს. მათაც ისწავლეს და პატივისცემით მოეკიდნენ მას. ასე რომ, გასახდელში ჩინებული ატმოსფეროა.

ცოცხალიზაცორი

# 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

—ხო ნახე, იმ არტისტი რონალდუს პენალტი? ეგეთი პაუზა ტო?! მსაჯმა რო დაუსტვინა, მასტი ბურთისკენ გაიქცა, გაჩერდა, სახლში წავიდა, გამოიცვალა, დაბრუნდა და მერე დაარტყა. ეგენი ოპტამ მსახიობები არიან, იცი რეები გავიგე გუშინ?

—არ ვიცი რა გაიგე, მარა ეგ იყო ძმაო, აბრამოვიჩის და გლეიზერის ნაჩალიჩარი თამაში. ცვეტში მგონია, რო ლიჩნად გლეიზერმა ჩამოიყვანა სცენარისტები ჰოლივუდიდან და ფინალიც იმათი დაწერილია. არადა, მეთქი „მანჩესტერი" ასნავნოიში მოიგებს და ხუთი თუმანი არა ვლეწე?

—ჰოლივუდი კი რა, ჩემი ახლობლები მოსკოვში იმ სასტუმროში მუშაობენ „ჩელსი" რო იყო და რა გაიასნდა იცი, ტო? მატჩის წინა ღამეს დროგბა სასტუმროს ნომერში მთელი ღამე ვარჯიშობდა...

—რა პონტში?

—იმ პონტში რო ბურთი შტანგისთვის გაერტყა და...

—მერე ნომერში შტანგა საიდან?

—ნომრის კარი გაულია და კარის ჩარჩოს ურტყამდა ბურთს, ახლობელს ბრახუნის ხმა რო გაუგია, ასულა და... მერე ხო ნახე, თამაშის დროს რო გაარტყა შტანგას?

უფრო მაგარს გეტყვი — იკაიფე, რა, ტერი კიდე თურმე პენალტის დარტყმაზე დუშში ვარჯიშობდა. დაუსველებია მეტლახი, გამოიქცეოდა, გასრიალდებოდა მარცხენა ფეხზე და... ნუ კაროჩე, ხო აზრზე ხარ რა დონის ყომარზეა ბაზარი...

| 15240 | პსჟ-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16021 | პიზა-სპეცია | 1.23 | 3.60 |
| 16022 | ტრიესტინა-ტრევიზო | 2.90 | 1.32 |
| 16023 | მოდენა-ასკოლი | 1.22 | 3.40 |
| 16024 | ბარი-აველინო | 1.70 | 1.95 |
| 16025 | მანტოვა-ბოლონია | 3.00 | 1.30 |
| 16027 | ბრეშა-ფროზინონე | 1.17 | 4.10 |
| 16028 | მესინა-ლეჩე | 3.60 | 1.23 |
| 16030 | ვიჩენცა-რავენა | 1.22 | 3.40 |
| 16031 | ალბინოლეფე-რიმინი | 1.23 | 3.60 |
| 16032 | სევილია ბ-მალაგა | 1.95 | 1.65 |
| 16033 | ჰერკულესი-ლას პალმასი | 1.52 | 2.20 |
| 16034 | ეხიდო-ელჩე | 1.55 | 2.20 |
| 16035 | ეიბარი-სერესი | 1.50 | 2.30 |
| 16036 | კასტელონი-ალბასეტე | 1.58 | 2.10 |
| 16037 | კორდობა-ნუმანსია | 1.70 | 1.95 |
| 16038 | ალავესი-სპორტინგი | 1.95 | 1.65 |
| 16039 | სალამანკა-ფეროლი | 1.52 | 2.20 |
| 16040 | ტენერიფე-სოსიედადი | 2.20 | 1.50 |
| 16041 | გრანადა -სელტა | 1.58 | 2.10 |
| 16042 | კადისი-ტარაგონა | 1.62 | 2.05 |
| 16063 | ესბიერგი-ვიბორგი | 1.12 | 4.60 |
| 16064 | რანდერსი-ბრიონდბიუ | 1.95 | 1.70 |
| 16065 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.82 | 1.82 |
| 16066 | ნორდსიელანდი-მიდტიულანდი | 2.90 | 1.32 |
| 16067 | ოლბორგი-ოდენსე | 1.38 | 2.65 |
| 16077 | სტრიომსგოდსეტი-ფრედრიკსტადი | 1.65 | 2.05 |
| 16078 | ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი | 1.22 | 3.40 |
| 16079 | ვიკინგი-ბრანი | 1.50 | 2.30 |
| 16081 | ტრომსიო-ლინი | 1.30 | 3.00 |
| 16082 | ლილესტრიომი-ჰამ კამი | 1.22 | 3.40 |
| 16083 | მოლდე-რუსენბორგი | 2.20 | 1.52 |
| 16179 | ჰალი-ბრისტოლი | 1.62 | 2.05 |
| 16206 | ჰოლანდია-უკრაინა | 1.17 | 4.10 |
| 16207 | შვეიცარიბ-სლოვაკეთი | 1.23 | 3.60 |
| 16209 | უნგრეთი-საბერძნეთი | 1.95 | 1.70 |
| 16210 | ირლანდია-სერბეთი | 1.65 | 2.05 |
| 16222 | რომა-ინტერი | 1.70 | 1.95 |
| 16240 | პსჟ-ლიონი | 3.00 | 1.30 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14021 | პიზა-სპეცია | 1.45 | 2.40 |
| 14022 | ტრიესტინა-ტრევიზო | 2.30 | 1.65 |
| 14023 | მოდენა-ასკოლი | 1.30 | 2.50 |
| 14024 | ბარი-აველინო | 1.85 | 1.95 |
| 14025 | მანტოვა-ბოლონია | 2.40 | 1.45 |
| 14027 | ბრეშა-ფროზინონე | 1.30 | 2.50 |
| 14028 | მესინა-ლეჩე | 2.50 | 1.30 |
| 14030 | ვიჩენცა-რავენა | 1.30 | 2.50 |
| 14031 | ალბინოლეფე-რიმინი | 1.45 | 2.40 |
| 14032 | სევილია ბ-მალაგა | 1.95 | 1.85 |
| 14033 | ჰერკულესი-ლას პალმასი | 1.75 | 2.10 |
| 14034 | ეხიდო-ელჩე | 1.80 | 2.00 |
| 14035 | ეიბარი-სერესი | 1.75 | 2.10 |
| 14036 | კასტელონი-ალბასეტე | 1.80 | 2.00 |
| 14037 | კორდობა-ნუმანსია | 1.85 | 1.95 |
| 14038 | ალავესი-სპორტინგი | 1.95 | 1.85 |
| 14039 | სალამანკა-ფეროლი | 1.75 | 2.10 |
| 14040 | ტენერიფე-სოსიედადი | 2.10 | 1.75 |
| 14041 | გრანადა -სელტა | 1.80 | 2.00 |
| 14042 | კადისი-ტარაგონა | 1.80 | 2.00 |
| 14063 | ესბიერგი-ვიბორგი | 1.20 | 2.60 |
| 14064 | რანდერსი-ბრიონდბიუ | 2.00 | 1.80 |
| 14065 | ორჰუსი-ჰორსენსი | 1.90 | 1.90 |
| 14066 | ნორდსიელანდი-მიდტიულანდი | 2.30 | 1.65 |
| 14067 | ოლბორგი-ოდენსე | 1.70 | 2.20 |
| 14077 | სტრიომსგოდსეტი-ფრედრიკსტადი | 1.80 | 2.00 |
| 14078 | ვოლერენგა-ბოდიო გლიმტი | 1.30 | 2.50 |
| 14079 | ვიკინგი-ბრანი | 1.75 | 2.10 |
| 14081 | ტრომსიო-ლინი | 1.65 | 2.30 |
| 14082 | ლილესტრიომი-ჰამ კამი | 1.30 | 2.50 |
| 14083 | მოლდე-რუსენბორგი | 2.10 | 1.75 |
| 14179 | ჰალი-ბრისტოლი | 1.80 | 2.00 |
| 14206 | ჰოლანდია-უკრაინა | 1.30 | 2.50 |
| 14207 | შვეიცარია-სლოვაკეთი | 1.45 | 2.40 |
| 14209 | უნგრეთი-საბერძნეთი | 2.00 | 1.80 |
| 14210 | ირლანდია-სერბეთი | 1.80 | 2.00 |
| 14222 | რომა-ინტერი | 1.85 | 1.95 |
| 14240 | პსჟ-ლიონი | 2.40 | 1.45 |

გაიხსნა კროკოს ახალი ფილიალი
მისამართი: ვაჟა ფშაველას მე-4 კვ. II კორპ.

საქართველოს ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი
## სუპერლიგა. სუპერფინალი



# რუსთავმა თავი არ დათმო
## ენერჯი-ინვესტი ისევ ჩემპიონია

23 მაისი. სპორტის სასახლე

**ავიამშენი 1:3 ენერჯი-ინვესტი**

***ავიამშენი 76:83 ენერჯი-ინვესტი***

*23:20 14:34 20:22 19:7*

**ავიამშენი:** ტულუში (24), ნიკოლაძე (15), კვიმსაძე (12), ნინიაშვილი (4), როდუმტა (8 ქულა, 13 მოხსნა); მინაშვილი (6), სუხიშვილი (5), ბერაია (2), იმნაძე

**ენერჯი:** გამყრელიძე (21), გოგობერიშვილი (5), ჭოჭუა (15), ბაბიაშვილი (4), სტეფანოვი (25); ჩიტაშვილი (11), ტუჯანი (2)

*მსაჯები: მაკა კუპატაძე, დავით ბერეკაშვილი*

*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

**ქართულ** კალათბურთში რუსთავული ჰეგემონია გრძელდება. შარშანდელმა ჩემპიონმა „ენერჯი-ინვესტმა“ გუშინ ფინალური სერიის მეოთხე მატჩში 83:76 დაამარცხა „ავიამშენი“, მესამე გამარჯვებას უწია და ტიტული შეინარჩუნა. ქვეყნის უმთავრესი საკალათბურთო ჯილდო ქვემო ქართლში დარჩა, დედაქალაქელებს კი, რომლებსაც ბოლო ორ ფინალში „ავიამშენი“ წარმოადგენდა, კვლავ ვერცხლი ერგოთ.

რუსთაველთა დამრიგებელმა დავით უსტიაშვილმა წინასაფინალო ინტერვიუში თამამად თქვა, ჩემპიონობა თბილისში უნდა გავინაღდოთო და აკი აასრულა კიდეც. „ენერჯი-ინვესტმა“ ისე მაღალ დონეზე ჩაატარა გუშინდელი მატჩის საწყისი სამი მეოთხედი, რომ ბოლო მეოთხედში წათვლემა და თითქმის არაფრის გაკეთებაც ეპატია.

თავის მხრივ, „ავიამშენიც“ ქების ღირსია. წინა მატჩებში შეუპოვარ და მეტოქესთან ტოლ-სწორ თამაშს რომ თავი დავანებოთ, ლევან მოსეშვილის გუნდმა გუშინ ლამის შეუძლებელი შეძლო. რუსთაველებს გააზრებულმა გარჯამ მესამე მეოთხედში 25-ქულიანი უპირატესობა მოუტანა, რამაც თითქოს ყველაფერს წერტილი დაუსვა და „ავიატორთა“ მწვრთნელიც, რომელიც მანამდე წამით არ გაჩერებულა, ბედთან შეგუებულივით დაეშვა სკამზე. სპორტის სასახლეში შეკრებილი რუსთაველებიც ნაადრევად ზეიმობდნენ გამარჯვებას. აბა, ვინ წარმოადგენდა, რომ „ავიამშენი“ მოგებულის ვინაობას სასწორზე შეაგდებდა.

ბოლო მეოთხედის წინ „ენერჯი-ინვესტი“ 19 ქულას იგებდა და ასეთ დროს რომელიმე რუსთაველს წაგება რომ გულში გაევლო, სრულ ჭკუაზე არ უნდა ყოფილიყო. თუმცა მოხდა სასწაული — სხვას ვერაფერს დავარქმევთ იმას, რაც თითქმის განწირულმა „ავიატორებმა“ მოიმოქმედეს. მათ გადამწყვეტი მეოთხედის საწყის 8(!) წუთში რუსთაველებს თამაშიდან ბურთი არ ჩააგდებინეს, ეს მონაკვეთი 19:1 მოიგეს და უზარმაზარი ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირეს 76:77.

ის ერთი ქულაც რუსთაველებს იოვან სტეფანოვმა შესძინა საჯარიმოს ხაზიდან. სწორედ ეს სერბი ლეგიონერი იყო, რომელიც პირველი გამოერკვა თბილისელთა აზვირთებით გამოწვეული შოკიდან და ფარქვეშიდან ჩაგდებული ბურთით „ავიატორთა“ კალათს „ჯადო ახსნა“. სირენამდე წუთნახევარი რჩებოდა, რაც სავსებით საკმარისი იყო სამქულიანი დეფიციტის აღმოსაფხვრელად, მაგრამ თბილისელებს აღარ გაუმართლათ და ამაში, როგორც თავად „ავიატორები“ და მრავალი სხვა ნეიტრალური ქომაგია დარწმუნებული, მსაჯების მცდარმა გადაწყვეტილებამ ითამაშა გარკვეული როლი.



საჩემპიონო მატჩის გმირი იოვან სტეფანოვი (№6)

რუსთაველთათვის ყველაზე სახიფათო მოთამაშე კოტე ტულუშმა, ბოლო წუთზე შეუპოვრად რომ უტევდა მეტოქეს, გასწვრივ მდგარ პლასიდე როდუმტას უპასა, მაგრამ მსაჯმა ზონის წესის დარღვევა დააფიქსირა, რითაც „ავიამშენს“ ბურთი და ამ სასწაულებრივად შემოტრიალებული მატჩის მოგების შანსი წაართვა. ზუსტად ვერავინ იტყვის, დაარღვიეს თუ არა თბილისელებმა წესი, თუმცა „ავიატორთა“ თავკაცი რომ საშინლად გულმოსული იყო მსაჯზე, მისი ნამატჩევი დუმილისგანაც გამოჩნდა. ლევან მოსეშვილმა აქეთ დაგვისვა კითხვა, ამ და წინა თამაშებს ხომ უყურეთ, მეტოქემ სამართლიანად მოგვიგოო?

ასე იყო თუ ისე, რუსთაველებზე ჩემპიონობა ალალია, მათ გუშინ დიდებულად ითამაშეს მატჩის უმეტესი ნაწილი, აბა, სხვანაირად 25-ქულიან უპირატესობას როგორ მოიპოვებდნენ?!

წინა შეხვედრის დარად, პირველ მეოთხედში „ავიამშენმა“ იძალა. როდუმტა-ნინიაშვილის ფარქვეშა ტანდემმა გაამართლა და როცა უკანა ხაზიდან კოტე ტულუში და გიორგი ნიკოლაძეც ამოქმედნენ, მოსეშვილის გუნდმა პირველი მოეთხედის მიწურულს 6-ქულიანი უპირატესობა მოიპოვა — 23:17. რუსთაველებს იმედი მიხეილ ჭოჭუას სირენის თანხლებით ჩაგდებულმა სამქულიანმა ჩაუსახა და მეორე მეოთხედიდან მთელი „ენერჯი-ინვესტი“ აბობოქრდა.

იოვან სტეფანოვი — ეს სერბი უნივერსალი რომ არ ჩამოეყვანათ რუსთაველებს, ჩემპიონობას ალბათ ვერ შეინარჩუნებდნენ. წინა მატჩის გმირმა სერბმა გუშინაც გამოაჩინა ამერიკის სტუდენტურ ლიგაში მიღებული განსწავლულობა. ის იყო ყველგან, ფარქვეშ, საჯარიმოს მისადგომებთან და პერიმეტრზეც ხშირად დაინახავდით. მისმა უხვქულიანობამ ქვემოქართლელებს 18:5 მოაგებინა მეორე მეოთხედის საწყისი 5 წუთი და „ენერჯი-ინვესტს“ სოლიდური უპირატესობა დაუბევა.

რუსთაველები სწრაფ შეტევებშიც ჯაბნიდნენ „ავიამშენს“. მოიხელთებდნენ თუ არა ბურთს, მიხეილ ჩიტაშვილს და ლაშა გამყრელიძეს ის თვალისდახამხამებაში გადაჰქონდათ მეტოქის ნახევარზე, სადაც ან თავად აგვირგვინებდნენ შეტევას, ანაც სტეფანოვი იქ არ იყო?!

როცა სერბმა მესამე პერსონალური მიიღო, უსტიაშვილმა ის მოედნიდან გაიყვანა, რის შემდეგაც მექულეობა გამყრელიძემ ითავა და მანამ არ მოისვენა, სანამ დიდი შესვენებისთვის რუსთაველებს 17-ქულიანი უპირატესობა არ დაუბევა — 54:37.

მესამე მეოთხედის განახლება იყო და გამყრელიძის შორმა სროლამ „ენერჯი-ინვესტს“ 20-ქულიანი ჰანდიკაპი გაუფორმა, რაც ჩიტაშვილ-ჭოჭუამ კიდევ უფრო გაზარდეს და მომავალ ჩემპიონებს დაარხეინების საშუალება მისცეს. მესამე მეოთხედის დასრულებას 2 წუთი აკლდა, როცა სტეფანოვმა მეოთხე პერსონალური მიიღო და მწვრთნელმა რომ მოედანს გაარიდა, თამაში გალიმებულმა დატოვა — რუსთაველები 25 ქულით იგებდნენ და სანერვიულო არც სერბს, არც სხვა რუსთაველებს, არაფერი ჰქონდათ.

მერე კი მოხდა ის, რაც უკვე გიამბეთ. ტულუშის, კვიმსაძის, სუხიშვილის, ნიკოლაძის, როდუმტას და ბერაიას შეუპოვრობამ რუსთაველებს ლამის ჩაუშხამა გუშინდელი დღე. თუმც რომც წაეგო, „ენერჯი-ინვესტი“ ფინალური სერიის გადამწყვეტ მატჩს რუსთავში მასპინძლობდა, მაგრამ გადადებული საქმის ამბავი ხომ იცით და ქვემოქართლელებმა თბილისშივე მოიწყვეს ზეიმი...

**ირაკლი პერტაია**

# NBA პლეი ოფი
## ნახევარფინალი

# ტონს დაუწიე, ბოსტონ!

22 მაისი

**აღმოსავლეთი**

**ბოსტონი 1:1 დეტროიტი**

**ბოსტონი 97:103 დეტროიტი**

**ბოსტონი:** პირსი (26), ალენი (25), გარნეტი (24 ქულა, 13 მოხსნა), რონდო (10)

**დეტროიტი:** ჰამილტონი (25), ბილაფსი (19), მაკდაიესი (15), პრინსი (14), ვოლესი (13 ქულა, 10 მოხსნა), სტაკი (13)

„ბოსტონ სელტიქსი“ აღარაა შინ დაუმარცხებელი. რეგულარულ ჩემპიონატში მოპოვებული მოედნის უპირატესობა მას გამოადგა პლეი ოფის პირველ ორ რაუნდში — „ატლანტასთან“ და „კლივლენდთან“. აი „დეტროიტთან“ კი ნაცადი ფანდი აღარ გაუვიდა და ზედიზედ 9 შინაური გამარჯვების შემდეგ საკუთარი გულშემატკივრების წინაშეც ჩახარა თავი.

„იცით, ეს არაა მოულოდნელობა — დამაჯერებელი კილოთი გვარწმუნებს გამარჯვებულთა ერთ-ერთი ლიდერი რაშიდ ვოლესი — ჩვენ არ ვაპირებდით მათთვის დათმობას მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მათ სახლში აქამდე ყველა მოეგოთ.“

ამგვარად, „დეტროიტმა“ აართვა მოედნის უპირატესობა „ბოსტონს“ და დეტროიტში გასამართი ორი თამაშის წინ ფსიქოპოგიორი უპირატესობა შეიქმნა. ოღონდ ეს არც ისე იოლი იყო. „კელტ“ ფორვარდებს პირსსა და გარნეტს მიეშველა მსროლელი რეი ალენიც, ვინაც „კლივლენდთან“ სერიაში თითქმის ყველა მატჩი ჩააფლავა — საშუალოდ მხოლოდ 9,7 ქულას აკეთებდა და ამ სერიის პირველ შეხვედრაშიც ასე იჯახირა. ვეტერანი ვარსკვლავი ახლაღა ათამაშდა და 25 ქულა მიაშველა თავის გუნდს, თუმც უქმად არც დეტროიტელი მექულეები იდგნენ, განსაკუთრებით კი რიპ ჰამილტონი, ვინაც თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ მეორეში 9 ქულა გაშანსა და თავისი გუნდი 9 ქულით წასწია წინ.

სტუმრებმა ტაიმი 7 ქულით კი მოიგეს, მაგრამ მასპინძლებმა ძალიან წინ აღარ გაუშვეს. მესამის პირველ წუთებში გარნეტის ორიანით 54:54 გაათანაბრეს, მერე კი ალენის საჯარიმოებითა და ორიანით 4 ქულითაც გალიდერდნენ, მაგრამ სტუმრებმა უცებ ჰამილტონის და ვოლესის წყვილი სამქულიანი შეაგებეს და კვლავ ჩამოართვეს მასპინძლებს ლიდერის დროშა.

მეოთხე მეოთხედიც ძალიან გავდა კატა-თაგვობანას თამაშს, ოღონდ სტუმარ კატას მასპინძელი თაგვი არ ეპუებოდა და თავისას ცდილობდა. „დეტორიტი“ დამთავრებამდე 8 წუთით ადრე 11 ქულითაც კი გაიჭრა და სხვაობა მთელს თამაშში პირველად ააცილა 10 ქულას. მაგრამ „ბოსტონი“ მარცხთან შეურიგებელი გუნდის მძვინვარებით გაეპასუხა და ორ წუთში ზედიზედ 8 ქულა აგემა, ოდავ მოგვიანებით კი ორ ქულამდეც შეამცირა სხვაობა, თუმც მეტოქის დაწევა და გადასწრება ველარ შეძლო. პლეი ოფებში ნაწრთობი „დეტროიტი“ უკანასკნელ წუთს 6-ქულიანი მარაგით შეეგება და მიუხედავად იმისა, რომ საფინალო სირენამდე 10 წამით ადრე რეი ალენმა სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა, „ბოსტონმა“ მაინც ვერ აირიდა პირველი შინაური მარცხი.

„ისეთ გარემოში გვიწევს თამაში, სიგიჟემდე აღარაფერი გვიკლია, მაგრამ ვცდილობთ, ჩვენს ქმედებებს აზრი დავატანოთ — ნამატჩევს მიკროფონს ჩაჰყვიროდა ჰამილტონი — ახლა უკვე ჩვენია მოედნის უპირატესობა. სახლში უნდა ჩავიდეთ, ცოტა სული მოვითქვათ და უკვე ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მის შენარჩუნებაზე.“

**ვანო კობიაშვილი**

## კაცების ბადე

1/32 1/16 1/8 1/4 1/2

- ფედერერი (1) — ქურეი
- მონტანიესი — ვლიგენი
- კვალ. — კვალ.
- სეპი (31) — ანჩიჩი
- კარლოვიჩი (20) — ფალა
- ბენეტო — სპადეა
- ზვერევი — კვალ.
- მონაკო (13) — სოდერლინგი
- ვავრინკა (9) — კოლშრაიბერი
- ჩილიჩი — ჰააზე
- ვოლანდრი — კვალ.
- გონსალესი (24) — კუევასი
- ანდრეევი (27) — სტარაჩე
- იანგი — ჯინეპრი
- სელა — ჰანესკუ
- გასკე (8) — სერა
- დავიდენკო (4) — იოჰანსონი
- საფინი — კვალ.
- მანარინი — კვალ.
- ლიუბიჩიჩი (28) — პროდონი
- ფერერო (23) — დანიელი
- მელცერი — ლუჟაკი
- მონფილზი — კლემანი
- ცონგა (14) — კვალ.
- რობრედო (12) — კორია
- ტროიცკი — ჟიკელი
- ვანეკი — კვალ.
- შტეფანეკი (21) — სიმონი
- ჰიუიტი (25) — მაჰუ
- კალერი — ფიში
- სანტორო — მაიერი
- ფერერი (5) — დარსისი
- ბლეიკი (7) — შუტლერი
- გულბისი — კვალ.
- ასიონე — რეინოლდსი
- ტიპსარევიჩი (32) — ლაპენტი
- ბალდატისი (17) — ბოლელი
- ფონინი — დელ პოტრო
- ლოდრა — პატიენსი
- ბერდიხი (11) — სმიტსი
- მოია (16) — კვალ.
- გრანოლერსი — ბერერი
- ერნანდესი — მინარი
- მატიო (18) — კუერტენი
- კანასი (29) — ოდესნიკი
- ლი — ბიორკმანი
- დანსევიჩი — კვალ.
- ჯოკოვიჩი (3) — გრემელმაიერი
- ნალბანდიანი (6) — ბერლოკი
- შარდეი — კვალ.
- გარსია-ლოპესი — როიტმანი
- ტურსუნოვი (30) — კვალ.
- ალმაგრო (19) — პაშანსკი
- ო. როხუსი — კვალ.
- ჰრბატი — აკასუსო
- მიურეი (10) — იესერიკი
- იუჟნი (15) — ბეკერი
- კვალ. — კვალ.
- აისნერი — ჩელა
- ვერდასკო (22) — ვენტურა
- ნიემინენი (26) — კიფერი
- ლოპესი — ვასალო არგუელო
- გუჩიონე — კვალ.
- ნადალი (2) — კვალ.

## როლან გაროსი 2008. პარიზი. თიხა.

# ჯერ რაფა, შემდეგ ნოვაკი, როჯერი და...



რაფაელ ნადალი პარიზული თასის დათმობას არ აპირებს

**წლევანდელ** „როლან გაროსზე“ ძალთა განლაგება მიახლოებით ასეთია — რაფაელ ნადალი და დანარჩენები. ესპანელი ვარსკვლავბიჭი პარიზში უეჭველი ფავორიტის რანგში ჩადის და უფრო გასაკვირი ის იქნება, რომ რაფამ ვერ იპირველოს, ვიდრე პირიქით. მალიორკელმა მიმდინარე სეზონში კიდევ უფრო გაიმყარა „თიხნარის მეფის“ ტიტული — მართალია, რომის მასტერსზე წაიფორხილა, მაგრამ ჰამბურგში ასეთივე დონის ტურნირის მოგებით (სხვათა შორის, ეს ლამის ერთადერთი სათიხნარო ტიტული იყო, რომელიც მას აქამდე არ მოეგო) რაფამ თავის სათამაშო ფორმასთან დაკავშირებულ ყველა ეჭვს მოუღო ბოლო.

თავად ნადალი ამტკიცებს, ტურნირის წინ ისევ მაგრად ვნერვიულობო, მაგრამ ეს დიდწილად მისი თავმდაბლობის ბრალი უფროა, მას ხომ ბაქიბუქი არასოდეს უყვარდა, თორემ ისე ცოტა თუ მოიძებნება ისეთი, რომელიც იტყვის, ნადალი „როლან გაროსზე“ თავის უნაკლო სვლას (21 მატჩიდან ყველაში იმარჯვა) მაინდამაინც ახლა შეწყვეტსო. ერთმა ანალიტიკოსმა იხუმრა კიდეც, უფრო რეალურია, პარიზს მთვარე დაეცეს, ვიდრე იქ რაფამ წააგოსო. ეს შეიძლება გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ ეს თეზისი რეალობიდან არც ისე შორს დგას.

ესპანელის დომინირებას წლეულს ყველაზე მეტად ალბათ ნოვაკ ჯოკოვიჩი დაემუქრება — ამაზე ყველა სპეციალისტი თანხმდება, დიდი მატს ვილანდერიდან დაწყებული, ჩოგბურთიდან ახლახან წასული გრეგ რუსედსკით დამთავრებული. როჯერ ფედერერისადმი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ნადალის მთავარ მეტოქედ წლეულს ფანტასტიკურად მოთამაშე სერბი მოჩანს, რომელიც ჯანზე თუ იქნა, რაფას გვარიანად აატკივებს თავს.

საქმე მხოლოდ ჯოკოვიჩის წლევანდელ გამოსვლაში როდია. ახალგაზრდა ბალკანელმა დაამტკიცა, რომ თიხნარზეც შეუძლია უმაღლეს დონეზე ჩოგნის ქნევა და არც ნადალის გამოწვევას მოერიდება. ჰამბურგის ნახევარფინალში ჯოკოვიჩმა სასტიკი ომი გაუმართა ესპანელს და მხოლოდ ფიზიკურმა გამძლეობამ დაალალატა, როცა სამსაათიან მარათონს ვერ გაუძლო და კაპიტულაცია გამოაცხადა. თუმც იმ შეხვედრამ ყველას, უპირველესად კი თავად ნოვაკს დაანახვა, რომ მას ხელეწიფება ესპანელთან თანაბარ დონეზე ჭიდილი.

სწორედ ამიტომაა, სერბი ხმამაღლა რომ გაიძახის, რაფა მიფრთხილდეს, რადგანაც საკმარისია, პარიზში ჰამბურგზე ოდნავ მეტად გამიმართლოს და მარცხის გემოს გავასინჯებო.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კი, რაც ჯოკოვიჩს ნადალისთვის უმთავრეს საფრთხედ აქცევს, ის არის, რომ სერბს არა აქვს ესპანელთან „როლან გაროსზე“ თამაშის და დამარცხების მწარე გამოცდილება. ამიტომაც მის წინააღმდეგ ზედმეტი ფსიქოლგიური წნეხის გარეშე ითამაშებს. იმავე ფედერერს ძალიან მძიმე ტვირთად აწევს პირინეელთან წაგებული ორი ფინალი და რაც არ უნდა რკინის ნერვების პატრონი იყოს, არ შეიძლება, ეს ზეგავლენას არ ახდენდეს „მხიარულ როჯერზე“. აი, სერბი კი თავისუფალია ასეთი ბალასტისგან და ნადალს, როგორც თანაბარს, ისე უცქერს.

მოკლედ, ნადალ-ჯოკოვიჩის სავარაუდო ნახევარფინალს უკვე ბევრი ელის ხელების ფშვნეტით.

ჯოკოვიჩი ჯოკოვიჩად, მაგრამ ფედერერის ჩამოწერაც უაზრობა იქნება. ალპელს მძიმე პერიოდი უდგას და 2003 წლიდან მოყოლებული ყველაზე უსუსურ სეზონს ატარებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას პარიზში პირველობის შანსი არ აქვს. რაც არ უნდა იყოს, „მხიარული როჯერის“ სიდიადე არსად გამქრალა — ჯერაც არავის დავიწყებია მისი ჯადოსნური ჩოგნაობა და მეტოქეთა გაცამტვერების უნარი, რაც ალპელმა ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაიბრუნოს. თანაც როჯერს ფინალმდე თავის ახალგაზრდა მეტოქეებზე იოლი გზა აქვს, რადგანაც ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრამდე არც ერთს გადაეყრება — ეს კი მის შანსებს გვარიანად ზრდის.

ამ სამეულის გარდა ვინმე სხვის საჩემპიონო ამბიციებზე საუბარი სრულ უტოპიად მოჩანს, რადგანაც თანამედროვე ჩოგბურთში სწორედ ზემოთ ნახსენები სამთავიანი ურჩხული ბატონობს. თუმც გამორიცხული არ არის, ვინმემ გაისროლოს არგენტინულ-ესპანური ლეგიონიდან, რომელიც კვლავაც მრავალრიცხოვანი იქნება. დავიდ ფერერი, ხუანკარლოს ფერერო, დავიდ ნალბანდიანი, ხუან მონაკო — თამაში თუ წაუვიდათ, ამათგან ნებისმიერს ხელეწიფება ბობოლათა გამწარება. თუმც ამის ალბათ თავად ამ მეჩოგნეებსაც ნაკლებად სჯერათ.

**ბაჩა ლომაუშვილი**

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2007

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 ------- მანუელ სანტანა | 1973 --------- ილია ნასტასე | 1984 ----------- ივან ლენდლი | 1995 --------- ტომას მუსტერი |
| 1962 ---------- როდ ლეივერი | 1974 --------- ბიორნ ბორგი | 1985 ------- მატს ვილანდერი | 1996 --- ევგენი კაფელნიკოვი |
| 1963 ---------- როი ემერსონი | 1975 --------- ბიორნ ბორგი | 1986 ----------- ივან ლენდლი | 1997 ---- გუსტავო კუერტენი |
| 1964 ------- მანუელ სანტანა | 1976 ------ ადრიანო პანატა | 1987 ----------- ივან ლენდლი | 1998 ----------- კარლოს მოია |
| 1965 ----------- ფრედ სტოლი | 1977 ----- გილერმო ვილასი | 1988 ------- მატს ვილანდერი | 1999 ------------- ანდრე აგასი |
| 1966 ------------ ტონი როუჩი | 1978 --------- ბიორნ ბორგი | 1989 ------------ მაიკლ ჩანგი | 2000 ---- გუსტავო კუერტენი |
| 1967 ---------- როი ემერსონი | 1979 --------- ბიორნ ბორგი | 1990 --------- ანდრეს გომესი | 2001 ---- გუსტავო კუერტენი |
| 1968 ---------- კენ როზუოლი | 1980 --------- ბიორნ ბორგი | 1991 -------------- ჯიმ კურიე | 2002 --------- ალბერტ კოსტა |
| 1969 ---------- როდ ლეივერი | 1981 --------- ბიორნ ბორგი | 1992 -------------- ჯიმ კურიე | 2003 - ხუან კარლოს ფერერო |
| 1970 ------------- იან კოდეში | 1982 ----- მატს ვილანდერი | 1993 -------- სერხი ბრუგერა | 2004 -------- გასტონ გაუდიო |
| 1971 ------------- იან კოდეში | 1983 -------------- იანიკ ნოა | 1994 -------- სერხი ბრუგერა | 2005 -------- რაფაელ ნადალი |
| 1972 --------- ანდრეს ხიმენო | | | 2006 -------- რაფაელ ნადალი |
| | | | 2007 -------- რაფაელ ნადალი |

26 მაისი — 8 ივნისი. საპრიზო 13 796 000 ევრო

# ვინ გაილაღებს შენენო პარიზში, სერბი, რუსი, თუ ამერიკელი?

**ჟუსტინ ენინის** ჩოგბურთიდან მოულოდნელმა წასვლამ ქალთა ჩოგბურთში ძალთა ბალანსი გვარიანად შეცვალა. ეს განსაკუთრებით მაინც „როლან გაროსზე" ითქმის, რადგანაც ჭინკა ბელგიელი ქალებში თიხნარის უმთავრეს გურუდ მიიჩნეოდა და პარიზულ სლემტურნირზე ისეთივე ფავორიტი იქნებოდა, როგორიც კაცებში ნადალია. თუმც ჟუსტინმა თამაშს თავი მიანება, რის გამოც ერთი რომელიმე ჩოგბურთელის აშკარად გამოყოფა საძნელო საქმე გახდა. მხოლოდ მეჩოგნეთა გარკვეულ ჯგუფზე საუბარი შეიძლება, რომლებსაც ტიტულის მოგების სხვებზე უკეთესი შანსი აქვთ. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ სავარაუდო ფავორიტთა ეროვნული ნიშნით დაყოფაა შესაძლებელი.

პირველ რიგში სერბებით უნდა დავიწყოთ — ენინის არყოფნაში ჩემპიონობის საუკეთესო შანსები ელენა იანკოვიჩსა და ანა ივანოვიჩს აქვთ. ბალკანელები შარშანაც ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ ორივემ ჭინკა ბელგიელთან წაიფორხილა. ახლა ამ ბარიერის გადალახვა არც ერთს აღარ მოუწევს.

ენინის წასვლა საერთოდ ციდან მოვლენილი მანანასავით შეიძლება იქცეს იანკოვიჩისთვის. ჟუსტინი ლამის წყევლად ექცა სერბს, რადგანაც ვერაფრით ახერხებდა მის დამარცხებას. მარტო შარშან ელენამ ხუთჯერ წააგო ბელგიელთან, თანაც სულ ნახევარფინალებში ან ფინალებში. თუმც აგერ ენინი თავისით ჩამოშორდა და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ელენა იმედიანად ხვდება დამდეგ სლემტურნირს.

გამარჯვებას უმიზნებს ივანოვიჩიც, თუმც, თანამემამულისგან განსხვავებით, ანა წლეულს თიხნარზე არცთუ დამაჯერებელი იყო. ამის მიუხედავად, სერბი ლამაზმანი ამტკიცებს, რომ პარიზში დიდებულ ფორმაში ჩადის და წლეულს იმ ბოლო ნაბიჯს გადადგამს, რაც შარშან ვერ შეძლო. შეგახსენებთ, რომ ერთი წლის წინ ივანოვიჩმა ფინალში წააგო და ახლა დანაპირები თუ აასრულა, მაშინ სანუკვარ მიზანს უწევს კიდეც.

სერბთა ამბიციების მთავარ საფრთხედ რუსები მოჩანან — უპირველესად ეს მარია შარაპოვას ეხება. დიახ, სწორედ შარაპოვას, რომელიც კარიერაში პირველად ეწვევა ფავორიტის სტატუსით პარიზს. მაშა წლეულს უბრალოდ



ანა ივანოვიჩს შარშანდელი ფინალის დავიწყება სურს

ბრწყინავს და ძალიან დალაგებულ და ზრდასრულ ჩოგბურთს თამაშობს. თუნდაც ის რად ღირს, რომ მიმდინარე სეზონში რუსმა პრიმამ მხოლოდ ორჯერ წააგო. ამას ისიც დავუმატოთ, რომ მაშა ბოლო ხანს აშკარად უკეთ თამაშობს თიხნარზე. ამ საფარის სპეციალისტიაო, ვერავინ დააბრალებს, მაგრამ მისი ფენომენალური ფიზიკური მონაცემებისა და მრავალფეროვანი საჩოგბურთო არსენალის გათვალისწინებით, შარაპოვამ უნდა მოახერხოს ტიტულისთვის ბრძოლა.

არავისთვის ქედის დამხრელი არ არის სვეტლანა კუზნეცოვაც, თუმც ამ რუსის უმთავრესი პრობლემა სტაბილურობაა. ამიტომაც თუ ადრეულ ეტაპზე არ წაიფორხილა, მაშინ ტიტულის ერთ-ერთი უმთავრესი მაძიებელი იქნება.

მოულოდნელებები სრულიად მოსალოდნელია ტოპათეულში მყოფი სხვა ორი რუსისგანაც — ელენა დემენტიევასა და ანა ჩაკვეტაძეს ნაადრევად ჩამოწერა არცთუ უპრიანი იქნება. ტექნიკური და კომბინაციური ჩოგბურთის მქადაგებელი ეს ორი მეჩოგნე უაზრო შეცდომების მინიმუმამდე დაყვანას თუ შეძლებს, რის გამოც არა ერთხელ ბრიყვულად წაუგიათ ლამის მოგებული მატჩები, მაშინ მათ ნებისმიერის გამწარება შეუძლიათ.

თავის სიტყვის სათქმელად ემზადებიან შავდა უილიამსებიც. მართალია, აქამდე თიხნარზე არც ერთი არ ბრწყინავდა (განსაკუთრებით ვინუსი), მაგრამ წლეულს ორივე ტიტულზე დაგეშილი ეწვია პარიზს. უფრო სახიფათო მაინც სერენაა, რომელიც თიხნარზე ჩოგნაობის დროსაც კი თავისი საოცარი ფიზიკური მომზადების წყალობით თავისუფლად ახდენს საკუთარ თამაშში არსებული სისუსტეების კომპენსირებას და ამიტომ კვალავაც ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძნელად დასამარცხებელ მეჩოგნედ რჩება. უმცროსი შავდა ერთი წლის წინაც ტანკივით მიდიოდა ჩემპიონობისკენ, მაგრამ მანაც იმავე ენინზე წაიტეხა ცხვირი...

მოკლედ, წლევანდელი ტურნირის მთავარი ინტრიგა ფიქსი სწორედ ეს არის — ვინ ისარგებლებს ენინის არ ყოფნით?

**ბახა ლომჯაშვილი**

## როლან გაროსის ჩემპიონები 1961 — 2007

| | | | |
|---|---|---|---|
| 1961 ---------- ენ ჰეიდონი | 1973 -- მარგარეტ სმიტ-კორტი | 1984 -- მარტინა ნავრატილოვა | 1995 ---------- შტეფი გრაფი |
| 1962 ---------- მარგარეტ სმიტი | 1974 ---------- კრის ევერტი | 1985 ------ კრის ევერტ-ლოიდი | 1996 ---------- შტეფი გრაფი |
| 1963 ---------- ლესლი ტერნერი | 1975 ---------- კრის ევერტი | 1986 ------ კრის ევერტ-ლოიდი | 1997 ---------- ივა მაიოლი |
| 1964 ---------- მარგარეტ სმიტი | 1976 ---------- სიუ ბარკერი | 1987 ---------- შტეფი გრაფი | 1998 --- არანჩა სანჩეს-ვიკარიო |
| 1965 ---------- ლესლი ტერნერი | 1977 ---------- მიმა იუსოვეცი | 1988 ---------- შტეფი გრაფი | 1999 ---------- შტეფი გრაფი |
| 1966 --------- ენ ჰეიდონ-ჯონსი | 1978 ------- ვირჯინია რუჟიჩი | 1989 ---------- არანჩა სანჩესი | 2000 ---------- მარი პირსი |
| 1967 ---------- ფრანსუაზ დური | 1979 ----- კრის ევერტ-ლოიდი | 1990 ---------- მონიკა სელეში | 2001 -------- ჯენიფერ კაპრიატი |
| 1968 ---------- ნენსი რიჩი | 1980 ----- კრის ევერტ-ლოიდი | 1991 ---------- მონიკა სელეში | 2002 ---------- სერენა უილიამსი |
| 1969 -- მარგარეტ სმიტ-კორტი | 1981 -------- ჰანა მანდლიკოვა | 1992 ---------- მონიკა სელეში | 2003 ------ ჟუსტინ ენენ-არდენი |
| 1970 -- მარგარეტ სმიტ-კორტი | 1982 --- მარტინა ნავრატილოვა | 1993 ---------- შტეფი გრაფი | 2004 --------- ანასტასია მისკინა |
| 1971 --------- ივონ გულაგონგი | 1983 ----- კრის ევერტ-ლოიდი | 1994 ---------- არანჩა სანჩესი | 2005 ------ ჟუსტინ ენინ-არდენი |
| 1972 ---------- ბილი-ჯინ კინგი | | | 2006 ------ ჟუსტინ ენინ-არდენი |
| | | | 2007 ---------- ჟუსტინ ენინი |

## ქალების ბადე

1/32 · 1/16 · 1/8 · 1/4 · 1/2

- შარაპოვა (1) — [illegible]
- ბრენგლი — კვალ.
- სანჩესი — კვალ.
- კნაპი (32) — მიულერი
- კირილენკო (21) — კამერინი
- სანტანჯელო — კვალ.
- შპრემი — კვალ.
- საფინა (13) — კ. ბონდარენკო
- ზვონარიოვა (11) — ფორეცი
- კოენ-ალორო — რალუკა ოლარო
- ამანმურადოვა — კვალ.
- ბამერი (20) — ა. ვოზნიაკი
- სუგიამა (31) — კუდრიავცევა
- გოვორცოვა — ფედაკი
- დუმაჩოვსკა — დე ლოს რიოსი
- დემენტიევა (7) — დუშევინა
- კუზნეცოვა (4) — ნაკამურა
- კინგი — ჰუკი
- კლეიბანოვა — ტანასუგარნი
- პეტროვა (25) — რეზაი
- შიავონე (18) — კრეიბასი
- კრაიჩეკი — მამიჩი
- კირსტეა — კრემერი
- აზარენკა (16) — გალოვიცი
- სუგავაი (12) — მორიტა
- ლისიცკი — ვესნინა
- კვიტოვა — მორიგამი
- პირი (17) — სტოსური
- მედინა-გარიგესი (29) — კვალ.
- ჩანი — პირონკოვა
- კანეპი — იუანი
- ჩაკვეტაძე (6) — ლაგოსტერა ვივესი
- ვ. უილიამსი (8) — ობზილევი
- დუბუა — კვალ.
- სალერნი — კვალ.
- პენეტა (26) — პერებინისი
- მორესმა (22) — სავჩუკი
- პარმენტიე — კვალ.
- დეში — დიტი
- ბარტოლი (9) — დელაკუა
- ა. რადვანსკა (14) — კორიცევა
- ბრემონი — კვალ.
- ერანი — დულკო
- კორნე (19) — ვაკულენკო
- ციბულკოვა (28) — კერბერი
- სექუერა — ოსტერლო
- გარბინი — ერაკოვიჩი
- იანკოვიჩი (3) — კვალ.
- ს. უილიამსი (5) — ჰარკლროუდი
- იოჰანსონი — პინი
- მაკაროვა — კასტანო
- სრებოტნიკი — რუანო პასკუალე
- რაზანო (24) — ზაკოპალოვა
- იანი — ლუა
- პაშეკი — ბაჟინსკი
- შნიდერი (10) — ბიჩკოვა
- ვაიდიშოვა (15) — კვალ.
- როდიონოვა — პენგი
- ვოსკობოევა — ფედოსოვა
- ა. ბონდარენკო (23) — ცეტკოვსკა
- კ. ვოზნიაკი (30) — მოისბურგერი
- ჰსი — კვალ.
- კლოზელი — შაფაროვა
- ივანოვიჩი (2) — არვიდსონი

ფრენბურთი

# საქართველომ იაპონიაში ვერ იხეირა

**იაპონიაში** პლაჟის ფრენბურთის რიგითი მსოფლიო ეტაპი მიმდინარეობს ქალთა შორის. ტურნირზე გაქართველებული ბრაზილიური წყვილიც მონაწილეობდა. საქა და რთველომ თამაში ძირითადი ბადიდან დაიწყეს. მათ პირველი შეხვედრა მასპინძელთა ტანდემთან — საიკისთან და კასაჰარასთან ორ სეტში წააგეს. შემდეგ მატჩში საქა-რთველო ლანდკვისტ-ლანგკვისტის შვედურ წყვილს დაუპირისპირდა. ჩვენებმა ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით მოიგეს — 21:18, 21:18. ჩვენებს ბოლო გზა ვან ბრიდმანის და მოაჰას ბელგიურმა დუეტმა მოუჭრა. ბელგიელებმა ჩვენებს 2:0 (24:22, 21:15) მოუგეს. იაპონური ეტაპი ოლიმპიადის ლიცენზიებისთვის ქულებს იძლეოდა, მაგრამ საქა და რთველოს მონაგარი ამჯერად უმნიშვნელო გამოდგა. ოლიმპიადამდე ოთხი მსოფლიო ეტაპი კიდევაა დარჩენილი და ქართველი წყვილი ამ ტურნირებზე უნდა ეცადოს პეკინის საგზურის მოპოვებას.

ქალთა პარალელურად ხორვატიაში კაცებიც მართავენ მსოფლიო ეტაპს. ქართველმა წყვილმა — გეორ და გიამ — ძირითადი ბადის პირველ თამაშში აშშ-ს წარმომადგენლებთან (გისთან და როზენტალთან) წააგეს — 2:0 (21:17, 21:15). მომდევნო მატჩში ჩვენებმა მასპინძლებს, პერიჩს და ნორიჩს მოუგეს — 2:1 (19:21, 27::15, 15:13), ხოლო ბოლო შეხვედრა გაგლიანო — დაგრიპის ფრანგულ ტანდემთან დათმეს ანგარიშით 2:0 (21:18, 21:19).

გეტყვით იმასაც, რომ გეორ და გიას ოლიმპიადაზე წასვლა თითქმის განაღდებული აქვთ.

**ზურაბ მიგრიაული**

სუმო

# გორგაძე კატიკოსისთვის იბრძვის



**ტოჩინოშინად** წოდებული ლევან გორგაძე კატიკოსის მოპოვების შანსს ინარჩუნებს. მან მაისის ბოშოს მე-13 შეხვედრაში დასავლეთის მე-8 მაეგაშირა ტაკეკაძეს მოუგო. მე-14 ორთაბრძოლას გორგაძე აღმოსავლეთის მე-6 მაეგაშირა ფუტენოსთან გამართავს.

მაისის ტურნირზე მე-3 გამარჯვება მოიპოვა კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ. მან იორიკირით მოუგო დასავლეთის პირველ მაეგაშირა ბალტს. შემდეგ შერკინებას კოკაი აღმოსავლეთის მე-2 მაეგაშირა კეკუტენხოსთან ჩაატარებს.

პირველი მარცხი იწვნია ოძეკი კოტოოსიუმ. ბულგარელი ფალავანი მე-4 მაეგაშირა ამინისიკისთან დამარცხდა. წააგეს იოკოძუნებმა ასასიორუმ და ჰაკუხომ. ასასიორუს ოძეკი კაიო მოერია, ხოლოდ ჰაკუხო ოძეკი კოტოშიცუკიმ წააქცია.

**ზურაბ მიგრიაული**

ძიუდო

# მოსკოვი ქართველებს არ სწყალობს

**გუშინ** მოსკოვში მსოფლიოს სუპერთასის გათამაშება დაიწყო. საქართველოს ნაკრები ტურნირზე გადახალისებული შემადგენლობით გამოდის. ჩვენებს თითო წონაში ორ-ორი კაცი ჰყავთ, მხოლოდ 81 კგ წონით კატეგორიაშია გიორგი ბაინდურაშვილი ეულად.

შეჯიბრების პირველი დღე წარუმატებელი გამოდგა ქართველი ფალავნებისთვის. 60 კგ წონით კატეგორიაში ნაადრევად ტურნირს გამოეთიშნენ ამირან პაპინაშვილი და ბეთქილ შუკვანი. პაპინაშვილმა ჩეხ პაველ პეტრიკოვთან წააგო, ხოლო შუკვანი სომეხ არტურ სრაპიანთან დამარცხდა.

66 კგ-ში ვახტანგ ხოსიტაშვილმა პირველი ორთაბრძოლა კოკაით მოუგო რუს ვიტალი ვერკოპტაროვს. შემდეგ ჯგუფიდან გასასვლელი შეხვედრა დათმო უკრაინელ ანატოლი ლასკატასთან და რეპეშაჟში გააგრძელა ჭიდაობა, სადაც ჯერ უნგრელ შანდორ ტარაბასთან იმარჯვა, მერე კი წააგო ფრანგ ჯორდან ამიროსთან და შეჯიბრებასაც გამოეთიშა.

73 კგ-ში თენგიზ პაპოშვილი პირველივე შეხვედრაში დამარცხდა ბელგიელ კოენ სლექსთან. ამავე წონაში დავით კუპრაშვილმა ჯგუფის პირველ შეხვედრაში იუკოთი მოუგო მონღოლ განტუმურ დაშდავას, მაგრამ ფრანგ მიქაელ რემილენთან ვერაფერს გახდა და რეპეშაჟში განაგრძო ასპარეზობა, სადაც იპონით დამარცხდა რუს ბათრაზ კაიტმაზოვთან.

**ზურაბ მიგრიაული**

ჩოგბურთი

# მანანა შაფაქიძე ნახევარფინალშია




**ისრაელის** ქალაქ რაანანას მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიან ტურნირზე მე-3 ნომრად განთესილმა მანანა შაფაქიძემ მეოთხედფინალში კორტის მასპინძელ ორიან ბენ ჰამს 6:4 6:4 მოუგო და ნახევარფინალს უწია, სადაც მე-2 ნომრად განთესილ ჰოლანდიელს, რეიტინგის 458-ე საფეხუზე მყოფ მარსელა კოეკს შეხვდება.

კარგა ხნის შესვენების შემდეგ კორტზე მობრუნებული სოფო მელიქიშვილისთვის კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლანდესვილის ჰარდზე მიმდინარე, ასევე 10-ათასიანი შეჯიბრი პირველივე წრეში დასრულდა. მე-6 ნომრად განთესილმა შვეიცარიელმა სტეფანია ბოფამ, ვისაც კლასიფიკაციაში 387-ე ადგილი უპყრია, ჩვენებურს 7:6 6:0 მოუგო.

ავტორბოლა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

მეექვსე ეტაპი — მონაკოს დიდი პრიზი

## მონტე კარლო

*მონტე კარლო, 25 მაისი*




ტრასის სიგრძე ---------------------------------------- 3.340 კმ
რბოლის დისტანცია -------------------- 77 წრე — 257.180 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 16 საათზე*

**შარშანდელი შედეგები**

1. ალონსო (მაკლარენი); 2. ჰემილტონი (მაკლარენი); 3. მასა (ფერარი); 4 ფიზიკელა (რენო); 5. კუბიცა (BMW-ზაუბერი); 6 ჰაიდფელდი (BMW-ზაუბერი); 7 ვიურცი (უილიამსი); 8 რაიკონენი (ფერარი)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ.შუმახერი (ფერარი) 1:14.439

# გოლები რბოლის წინ

**მონაკოს დიდი პრიზი,** მონტე კარლოს ვიწრო, მიხვეულ-მოხვეული და აღმართ-დაღმართიანი ქუჩები, ულამაზესი ხედები, ლეგენდარული კაზინო და გვირაბი, ტრიბუნებზე სულ ცნობილი, VIP-სახეები... ამ რბოლას მართლაც სულ სხვა ეშხი და ხიბლი აქვს, სულ სხვა პრესტიჟი და ბევრისთვის ამ ეტაპის მოგება უფრო ფასობს, ვიდრე მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული.

მონაკოში ტრადიციებს უფრთხილდებიან და ერთ-ერთი ტრადიცია სარბოლო უიქენდის წინ ფეხბურთის თამაშია. საფეხბურთო მატჩი ახლაც გაიმართა და პირველი ფორმულის მრბოლებისგან შედგენილმა გუნდმა 4:0 მოუგო სხვადასხვა ჯურის ვარსკვლავთკრებულს, რომელსაც სახელად „ვარსკვლავები ბავშვებისთვის“ ერქვა. გოლები ფერნანდო ალონსომ, ფელიპე მასამ, ნიკო როსბერგმა და მეფორმულეებთან შეამხანაგებულმა ლეგენდარულმა ჭოკით მხტომელმა სერგეი ბუბკამ გაიტანეს.

ფეხბურთი ოთხშაბათს იყო, ხუთშაბათი კი თავისუფალ პრაქტიკას დაეთმო და თავში „ფერარისა“ და „მაკლარენის“ მრბოლები აღმოჩნდნენ. პირველ ჯერზე საუკეთესო დრო კიმი რაიკონენმა („ფერარი“) აჩვენა, ვისაც ლუის ჰემილტონი („მაკლარენი“), ჰეიკი კოვალაინენი („მაკლარენი“) და ფელიპე მასა („ფერარი“) მიჰყვნენ, ხოლო მეორე პრაქტიკისას პირველი ჰემილტონი იყო, მეორე შედეგი, მოულოდნელად, „უილიამსის“ ნიკო როსბერგმა აჩვენა და რაიკონენი, მასა და კოვალაინენი, შესაბამისად მესამე-მეხუთე ადგილებზე განლაგდნენ.

როსბერგი ამ უქმეებზე განსაკუთრებით მოინდომებს. საქმე იმაშია, რომ „უილიამსის“ შეფის, სერ ფრენკ უილიამსისთვის წლევანდელი მონაკოს დიდი პრიზი კარიერაში მეექვსასეა და როსბერგი და მისი იაპონელი თანაგუნდელი კაძუკი ნაკაჯიმა ტყავში გაძვრებიან, რათა თავიანთი ბოსის ეს იუბილე ლამაზად აღნიშნონ.

და ერთიც — მოქმედი მრბოლებიდან მონტე კარლოში დევიდ კულტჰარდს (2000 წელს), იარნო ტრულის (2004), კიმი რაიკონენსა (2005) და ფერნანდო ა ლონსოს (2006-07) მოუგიათ. თანაც კულტჰარდი და რაიკონენი მაშინ „მაკლარენს“ დააჯირითებდნენ, ისევე როგორც შარშანდელ სეზონში ალონსო, ხოლო ტრულიმ და იმავე ალონსომ შარშანწინ, გამარჯვებები „რენოთი“ მოიპოვეს.

ველორბოლა

**91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი**

**XII ეტაპი**

**ფორლი — კარპი. 172 კმ**

| | |
|---|---|
| 1. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“) | 4 სთ 05 წთ 29 წმ |
| 2. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი“) | |
| 3. რობი მაკივენი (ავსტრალია, „ლოტო“) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ჯოვანი ვისკონტი (იტალია, „ქვიკ სტეპი“) | 53 სთ 05 წთ 46 წმ |
| 2. გაბრიელე ბოსისიო (იტალია, LPR) | +5 წთ 50 წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა“) | +6.59 |
| 4. მარსიო ბრუზეგინი (იტალია, „ლამპრე“) | +7.52 |
| 5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, „ასტანა“) | +7.54 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge